



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახაზებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 50

დეკემბერი 10 1900

№ 50

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით გაუგზავ. 7 მან., გაგზავნით 8 მან. ნახევარი წლით გაუგზ. 3 მან. 50 კაპ., გაგზ. 4 მან. სამი თვით გაუგზ. 2 მან., გაგზ. 2 მან. 50 კაპ., თითო ნომერი სამ შაურათ.

**ხელის-მოწერა მიიღება:** თფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая, д. зем. банка № 101) და თვით „კვალის“ რედაქციაში არტილერის ქუჩა, № 5. ფოსტის აღრესი: Тифлисъ. Редакция „Квали“.

**შინაარსი:** მთავრობის განკარგულება.—პოლიტიკური მიმოხილვა.—სხვა-და-სხვა ამბები.—„კვალის“ ს კორესპონდენციები.—ქურნალ გაზეთებიდან.—ჩვენი სახიობა.—ყარამან მწერალი.—ჭიათურის ვარამი მიცანისა.—ორიოდე სიტყვა სამეგრელოზედა მეგრელებზე ვ. შავდიასი.—ჩინეთი პოტუჩიკი ავქსენტ აბესაძისა.—შენიშვნა ს. ქ.—სა.—„უგულობა“, მოთხრობა (დასასრული) ელ. წერეთლისა და განცხადებები.

## მიიღება ხელის მოწერა 1901 წლისათვის

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო

ნახაზებიანი გაზეთი

„ს ვ ე ლ ი“

(წელიწადი მეცხრე)

გამოვა 1901 წელსაც ყოველ კვირა დღეს, **გაზეთ-თოვებულნი ფორმატით** ერთიდან სამ თაბახამდე.

**რედაქციის მიზანი:** რადგანაც ახალ-წლიდან „კვალის“ გამოცემის საქმე ახალ პირობებში დგება, ამისათვის შესაძლებელი ხდება გაზეთის სიფრცით გაფართოვება, ახალი მუდმივი განყოფილებების შემოღება და მით მკითხველისათვის მეტი საკითხავი მასალის მიწოდება.

წლის განმავლობაში „კვალში“ დაიბეჭდება მეცხრამეტე საუკუნის ყველა შესანიშნავ მოღვაწეთა სურათები (ევროპის, რუსეთის და ჩვენის) მათი ბიოგრაფიებით.


გაზეთი წლიურათ ღირს თფილისში 7 მანეთათ, თფილისის გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილისის გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან. თითო ნომერი სამ შაურათ.

ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილ-ნაწილათ შემოიტანონ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურთა ქარვასლა), რკინის გზის სადგურზე—პირველი კლასის ბუფეტში ესტ. ინარტიშვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში, არტილერის ქუჩა, № 5, კადეტთა კორპუსის ახლოს (დროებით, სანაშ ახალ ბინაზე გადავიდოდეს).

ქუთაისში: მიტროფან ლალიძესთან და ვ. ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში; ბათუმში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და სახალხო უფასო სამკითხველოში; ოზურგეთში და ახალ-სენაკში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ქიათურაში კარბე მოღვაძესთან და ყვირილაში ივანე არდიშვილთან.

ფოსტის აღრესი: Тифлисъ. Редакция „КВАЛИ“.



„კვალის“ რედაქცია ამ თვის 13-დან გადავა საპერენის ქ. № 15, ალექსანდროვის ბაღის გვერდით.

საიმაგობრო სსსსლის მინისტრის, განე-  
 კალ-ადიუტანტის ბარონ ფრედერიხის დეკლ-  
 შა, ლივადიდან ბაგოგზავნილი 30 ნომრის  
 1900 წელს.

ზელმწიფე იმპერატორის ავტორიტეტის  
 დროს განუწყვეტლივ მოდიოდა როგორც  
 მათ იმპერატორებითი უდიდებულესობათ,  
 ისე სსსსლის და შინაგან საქმეთა მინისტ-  
 რების სახელზე წოდებთა, დაწესებულებათა  
 და სხვადასხვა საზოგადოებათგან და აკ-  
 რეთვე კერძო პირებისგან მრავალი განცხა-  
 დება უქვეშევრდომილესი სიყვარულისა და  
 ერთგულებისა. გარდა ამისა, უველგან გარ-  
 დახდილ იქნა ერთგულ ქვეშევრდომების  
 მიერ ჰარაკლისები ზელმწიფე იმპერატორის  
 განკურნების შესავდრებლათ. ციგო რა უვე-  
 ლა ეს მისმა იმპერატორებითა უდიდებულე-  
 სობამ, უმოწყალესათ ბრძანა გამოცხადოს  
 უველა წოდებთ, დაწესებულებათ და საზოგა-  
 დოებთ გულისთადი მადლობა თანაგრძნობი-  
 სათვის.

ბოლივიური მიმოსილვა\*)

საერთაშორისო ბოლიტიკის ასპარეზზე ჯერ კიდევ  
 ბურები და ჩინელები ბატონობენ. არც ერთ ამთავანს ამბებს  
 დასასრული არ მიეცა და, უნდა ვიფიქროთ, დიდხანს არ  
 მიეცება; ამ ბოლო დროს ტრანსვალის ომის ველი უფ-  
 რთ და უფრო გაცხობულდა. კრიუკერის ევროპაში ჩა-  
 მსვლას და ბურთა რაზმების ენერგიულთ მოქმედება  
 ერთათ დაიწყო. ჩვენ გვგონია ამ ორ ამბავს კავშირი  
 აქვთ ერთმანეთთან. ტრანსვალში უქვევლია ფიქრობენ,  
 კრიუკერი შეიძლება ევროპის ურადდება ტრანსვალისაკენ  
 მიაქციოს და შემართა შორის მედიატორობა ატვირთებინ-  
 თ. და ეს, რასაკვირველია, მამის შეიძლება, რცა ერთ-ერთ  
 მხარეს იარაღი არ დაუგროს და ომი წარმოებს. ამისთვის  
 არის, რომ დაუდალავი დევეტი ასე მარჯვეთ და მოხერხებუ-  
 ლათ მოძრაობს მტრის საწინააღმდეგეთ და ინგლისელ-  
 თა ჯარებს საქმეს უჭირვებს. უკანასკნელი ტელეგრამა  
 იუწყება რომ დევეტს გარს შემოხვევია ინგლისელთა  
 ჯარები, მაგრამ მას მაინც მოხერხებია მტრის ბანაკის

გარდევვა და წასვლა. ინგლისელთ ხელში ჩაგდნის  
 მხოლოდ ერთი ზარბაზანი და რამდენიმე ფურცლის  
 საომარი მასლებით დატვირთული. ბურების ერთი რაზ-  
 მი კაპის ახალშენში გადასულა. 30 ნომრებს მომხდარ  
 ბრძოლაში ინგლისელთ მოუკლეს 8 კაცი და დაუჭრეს  
 18; ტყვეთ წაიყვანეს 48. ერთი სიტყვით, ბურები დიდ  
 მოძრაობაში არიან და რით დასრულდება ეს — ამას ახლო  
 მომავალი გვიჩვენებს. მეორე მხრით კრიუკერის მოგ-  
 ზაურობისაკენ, როგორც ჩანს, დიდი არაფერი უნდა  
 გამოვიდეს. გერმანიის იმპერატორმა, ამ ვითომ და ბუ-  
 რების მეგობარმა, ის არც კი ინახულა, რამაც დიდი კა-  
 მათი გამოიწვია რეისსტაგში. კანცლერმა განაცხადა: ჩვენ  
 გვინდა მეგობრულათ ვიყოთ ინგლისთან და კრიუკერის  
 ნახვა იმპერატორის მიერ არავითარ ნაყოფს არ გა-  
 მოიღებდა ბურებისათვის. მეორე დღეს ამავე საგანზე  
 ბებელმა თქვა შემდეგი: „მე და ჩემი მეგობრები გუშინ  
 განსაკუთრებულ მდგომარეობაში ვიყავით. ჩვენ შეგვიძლო  
 დავთანხმებუდიყავით კანცლერის თითქმის ყოველ  
 სიტყვაზე. მე მართლა იმ აზრის ვარ, რომ საჭიროა  
 მეგობრულათ ვიყოთ. ინტერესი გერმანიის ხალხის, ინ-  
 ტერესი მთელი ქვეყნის, რის წარმომადგენელათ ჩვენც  
 ვთვლით ჩვენ თავს, მოითხოვს ინგლისთან მეგობრულ  
 განწყობილებას, მიუხედავათ ინგლისელთა ცუდათ მოქმე-  
 დებისა ტრანსვალში, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ და  
 ჩვენ ზრესას არა ერთხელ გამოგვიტყვამს ჩვენი აზრი იმ  
 ომის წეს-რიგის წინააღმდეგ, რომელსაც ინგლისელები  
 ხმარობენ ამ ქვეყანაში. ამ ნაირი ომიანობა მიმჩინა ბარ-  
 ბაროსულათ. მე აგრეთვე არ ვემხრობი იმათ, ვინც ამ-  
 ბობს, რომ კრიუკერი არ უნდა მიეღო იმპერატორთ,  
 უბრალო ზრდილობა და თანაგრძნობა მოითხოვდა მის მი-  
 დებას. მაგრამ უველა ამასთან ჩვენ არ უნდა დავფიქროთ  
 ქვეყნის საერთო ინტერესი, რაცა ინგლისთან მეგობრო-  
 ბას მოითხოვს.“ — ჩინეთის საქმეები ისევ აწვილ-  
 დაწვილია. როგორც უკანასკნელი დეპეშა იუწყება ჩინე-  
 თის იმპერატორს მიუღია უცხოელთა პირების შემდეგი  
 ათი მუხლი: 1) გადახდა 700 მილიონ ტაელამდე სა-  
 ზღაურისა — 60 წლის განმავლობაში ნაწილ ნაწილათ; 2)  
 შესაფერი ძეგლის აგება კეპტელერისათვის (გერმანული ელ-  
 ჩი) ჰეკინში; 3) იმპერატორის ახლო ხათესავი გაიგზა-  
 ვნება ბერლინში; 4) გზას ტაკუსა და ჰეკინს შუა უცხო-  
 ელი ჯარები დაიცავენ; 5) დასჯა „დიდი მუშტის“  
 მომხრე მოხელეებისა; 6) კანდიდატებს იმ ადგილებიდან,  
 სადაც უცხოელთ სდევნიდენ, რამე თანამდებობაზე სა-  
 ხელმწიფო ეგზამენის დატერის ნება 5 წლის განმავლო-  
 ბაში სრულიად არ მიეცეთ; 7) გაუქმდეს ცუნგლიამენი;  
 8) ელჩებს ნება ქტონდეთ თავისუფლათ ინახულენ ხელმე  
 იმპერატორი; 9) აიკრძალოს შემოტანა იარაღისა და  
 სამხედრო მასლისა; 10) შანჯი-გუნსა, ტაკუსა და ჰე-  
 კინს შუა დანგრეულ იქნეს სიმაგრეები.

თუ უველა ეს მართალია, მოლაშარაკების დასრულე-  
 ბა ადრე მოხდება.

\*) ამ ნომრის მოწინავე წერილი ვერ გამოდის...



### სხვა-და-სხვა ამბები

**წ**ვენი მხცოვანი პოეტი თ. რაფიელ ერისთავი მძიმე ავით გამხდარა ქ. თელავში.

კავკასიის სამთო სამმართველოს გადაუწყვეტია ქიათურის მრეწველთ დაავალოს მადნებში მოაწყოს ჰაერ.ს გასაწმენდი ვენტლიოაციები („ა. მ.“)

სამთო დეპარტამენტს გადაუწყვეტია დაწვრილებით გამოიკვლიოს რუსეთის მთა-მადნების მუშათა მდგომარეობა და ამის შესახებ შეკრიბოს საჭირო მასალები.

8 ამ თვეს თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა თ. დ. ზ. მელიქიშვილმა დაათვალიერა სათავად-აზნაურო სასწავლებელი, დაესწრო ქართულ და რუსულ ენების გაკვეთილებს, გაიზინჯა პანსიონის მოწყობილობა და საავთმყოფო, და ბოლოს განკარგულება გასცა რომ მისი ხარჯით ბავშვებს საჩუქრათ კანფეტები მიეცეს 600 კოლოფი.

ქუთაისის სახაზინო პალატას უკვე გაუნაწილებია საადგილ-მამულო გადასახადი მაზრებზე და კიდევაც დაურიგებია. ვინც არ არის ამ გაწერის თანახმა — საჩივარი 15 იანვრამდის უნდა შეიტანოს.

თფილისელ ნოქრებს აზრათა აქვთ შუამდგომლობა აღძრან სავაჭრო დროს გაწესრიგების შესახებ. ნოქრებს უნდათ, რომ სხვა სავაჭრო დაწესებულებაშიაც ვაჭრობის ისეთი წესი იქმნას შემოდებული, როგორც პაპოვისა, პერლოვისა, დოროჟნოვისა და ზოგიერთ სხვა მაღაზიაშია, ე. ი. ვაჭრობა მხოლოდ დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე იყოს. ამ ჟამათ ზოგიერთი ვაჭარნი თავის მაღაზიებს დილის 6—7 საათზე აღებენ და მხოლოდ ღამის 12 საათზე ჰკეტავენ, ასე რომ ნოქრებს ხუთი-ექვსი საათი ძლივს რჩებათ დასასვენებლათ.

ამ დღეებში პეტერბურგიდან თფილისში რამდენიმე ინგლისელი ინჟინერი ჩამოვა, აქედან ეს ინჟინერები ზემო ხოლაშენში წავლენ ბაგრატ წერეთლის მამულში ნავთიან ადგილების დასათვალიერებლათ. საზოგადოება დგება ამ ადგილების იჯარით ასაღებათ და საწარმოებლათ. მემამულეს პირობით უკვე შეჰპყრიან.


„რუსეთის შავი-ქვის საზოგადოებას“ შუამდგომლობა აღუძრავს ფინანსთა მინისტრის წინაშე იმის შესახებ, რომ ამ საზოგადოებას ნება მიეცეს რუსეთში მოქმედებისა. საზოგადოებას აზრათა აქვს შეიძინოს და აწარმოვოს შავი-ქვის მადნები დარკვეთში, შორაპნის მაზრაში და აგრეთვე რუსეთის სხვა ადგილებშიაც შეუდგეს ქვა-მადნების წარმოებას. საზოგადოებას ძირის თანხათ 300,000 მანეთი აქვს. გამგეობა საზოგადოებისა ლონდონშია.

ქალაქის გამგეობას გადაუწყვეტია ათასი მან. შეეწიოს მასწავლებელ ქალთა საზოგადოებას ავთმყოფ და მოხუც მასწავლებელ ქალთა თავშესაფარის ასაგებათ.

ჩვენ მივიღეთ: 1) „ქადაგებანი მღვდლის სიმონ ხელიძისა“, გამოცემა ზ. ქიქინაძისა შეიცავს 32 გვ. და ღირს 10 კ.; 2) „რექსები შეკრებილი ბათომში, ქობულეთში, აჭარაში და სხ.“ გამოცემა ზ. ქიქინაძისა, 16 გვერდი, ღირს 5 კ.; 3) კედლის კალენდრები, ერთი გამოცემა ძმ. თავართქილაძის სტამბისა და მეორე გრიგორ ჩარკვიანისა. ორივე სუფთათ არის დაბეჭდილი და ღირს თითო. 40 კაპ.

### „კუალის“ კორესპონდენციები

**ღ**დასა. „ქართულმა სდამოებმა“ უკვე სრული მქალაქება მთავრეს რუსეთის თითქმის ყველა უნივერსიტეტისა ქალაქებში. „სდამოს“ თან-და-თან მეტი და მეტი ხალხი ესწრება, მან სიმზატია მთავრეს და ფეხი გაიდგა საზოგადოების ყველა ნაწილში. „სდამოსე“ ხედავთ, როგორც არისტოკრატის ფაქიზ შეიღოს, ისე საშუალო და უბრალო საზოგადოების შეგნებულ წევრს. ამ გვარ მთავრესას სახსნელი მიხეუბებიც აქვს: საქართველო რუსეთში დღესაც ზღაპრული ქვეყანაა. მართალია, უკანასკნელ ხანებში რუსულ ჟურნალ-გაზეთებში ხშირათ შეხვდებით ქართველებზე ბასის, მართალია, ქართულ ისტორიას და ლიტერატურას სწავლობენ, გვერს ჩვენი მეცნიერ-პროფესორები უნივერსიტეტებში, მარა ეს ხომ უმცირესობისათვის არის მარტო ხელ მისაწვდენი. უმრავლესობისათვის კი, ესრეთ წოდებული „*БОЛЬШАЯ ПУБЛИКА*“—ისათვის ჩვენი სამშობლოს კულტურა დღესაც terra incognita-ა. საზოგადოებას სურს გაეცნოს იმ ერს, რომელიც ისტორიული ჩანჩის სტრიალმა შეკრთა მათ სამშობლოსთან. ქართველმა სტუდენტებმა კარგათ შეიგნეს ხალხის მისწრაფება და სურვილი; ისინი კიდევ ცდილობენ, შეძლებისა დაგვარათ



მიაწოდონ ამის მასალა. რასაკვირველია, სტუდენტები სავსებით ვერ ასრულებენ თავ-თავის როლს. უცხო მხარეში ძრელ ძნელია რაიმე საქმის გაკეთება. ჩვენში საქმე რომ ენერჯის დახარჯვას თხოულობს, აქ ის საქმე ენერჯისთან ერთად ნიჭს და გამოცდილებას მოკთხოვთ. „სადამოები“ თავის კონცერტიული ნაწილით ემსახურებიან დასახლებულ მიზანს, მათ ცოტათი მაინც ადევს ნაციონალური კოლორიტი. ნაციონალური სიმღერა, ქართული მუსიკა, ქართულივე დეკორაცია და ტანთსაცმელები, ლეკური, ზოგ ადამიანს ლიტერატურული განუფილებაც -- აი სერთო სხე „სადამოებისა“. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „სადამოების“ სიმშაბის მოწყობაში დიდი ადგილი უკავია ქართულ სტუდენტების მიერ დამსახურებულ მატრიონისთვის, „სადამოების“ პროგრამის თანდათან გაფართოვებას, გაუკეთებებს და რუსის საზოგადოების ფილანტროპიულ არსებასაც. ამ გვართ „სადამოების“ წყალობით ქართული სტუდენტი უნებორივ მოვალეობის შესრულებასთან ერთად მატრიონალურათაც მხარს იმაგრებს. შირველათ ესეთი სადამო თუ არ ვცდები, მოსკოვში გაიმართა და ეგელასე. მეტი დავაწი ამ ნიადაგზე მოსკოვის და ბეტერბურგის წრეებს მიუძღვით. ოდესსაში ეს საქმე ახალი ხილია. შირველათ „სადამო“ აქ შარშანწინ გაიმართა. როგორც ადგილობრივ გაზეთებს მამინდელი რეცენზიები ამოწმებენ, „სადამო“ ჩინებული უფილია; მას სავსებით შეუსრულებია და დაუკმაყოფილებია საზოგადოების მოლოდინი. წელს მეორეჯერ გვსურდა ისევ „სადამოს“ გამართვა, მარა გრემობამ და დრომ ნება არ მოგვცა სურვილი სისრულეში მოგვეყვანა. ჯერ იყო და ხორც არ გვეყვანდა; როდესაც ხორც ვიშოვეთ ქართული ნოტები და მომღერალთათვის ტანისამოსი ვერ ვიშოვეთ. ბევრი ვეხვეწეთ სხვა ქართულ წრეებს, მარა იქ ან თკითონ მართავდენ „სადამოს“ და ან სადაც მართავდენ იქ გაეგზავნათ. მივიწერეთ თფილისშიაც, მარა ვინ გათხოვებს ოცსა და ოცდა-ხუთ ცალ ტანსაცმელს? ერთი ფაქტი შეუწყინარებელი დაუდგეობისა! დაგვიბრდა „ივან-და-მარია“ ნათარგმნი ლექსების კრება, ვთხოვეთ ბეგინევის წიგნის მალაზიას იმის გამოგზავნა ტელეგრამით და... მასხინც არ მიგვიღია. განა ამისთანა მდგომარეობაში ბევრის გაკეთება მოეთხოვება ადამიანს? ჩვენც ცოტას გაკეთება ვამჯობინეთ არარაობას და გაუმართეთ „ქართული ბალი“ კონცერტიული განუფილებით. პროგრამა კონცერტისა საინტერესოთ იყო შედგენილი. მხოლოთ -- უნდა გამოეტყდეთ -- მუზიკალურ და ვოკალურ განუფილებებში სერთოთ ადამიანსაველის კილო სავსებით ფარავდა ქართულს. მხოლოთ ბლავირევის და ჰემანსისის „ქართული სიმღერა“ და კორეშენკოს sonet d'amour მოკავრებდათ ნაციონალურ სიმებს, საუბედუროთ იმათშიაც ევროპიულ კილოს და გარმინიზაციას დიდი ადგილი უჭირავს. ნამდვილი ქართული მხოლოთ ტანსაცმელები -- ჩოხა და ქუდაჯა -- და ლეკური

იყო. ლეკურს საზოგადოება გაფაციცებით მოლოდინს გაიმართა მუსიკის ხმა, გაიმართა ტანის ცემა და ერთი მეორის შემდეგ ხელოვნურათ ითამაშეს კენიხა ბ. მიქელაძისამ, ბ. ჯორჯაძემ, ქარცივაძემ, ჯაფარიძემ, დოლობერიძემ, ფავლენიშვილმა და სხ.

სტ. ვ. შავლია.



მიქელ-გაბრიელი (ოზურგეთის მარცა). მიქელ-გაბრიელი არის შავი-ხდვის მახლობლათ გაშენებული მდ. სუფსასა და ნატანებ შუა. აქ ბლომით არის სახნავ-სათესი მიწა ხაზინის და ადგილობრივ მებატონე თ. ნაკაშიძეებისა. ეს მიწები ნოყიერია, სიმინდის მოსავალს ძლიერ კარგს იძლევა და გლეხი უფილითვის კმაყოფილი დაჩქობდა, რომ სიმინდს რიგაინი ფასი ჰქონდეს. აქ ურძენი, „იზაბელა“, სავამოთ მოდის. სხვა სოფლებთან შედარებით ეს სოფელი შეძლებულია ნივთიერათ. ამ სოფელში ითვლება ორას კომლზე ცოტა მეტი გლეხა, არის ორ-კლასიანი სამინისტრო სკოლა (მეორეს გასხნავე განახენი დაადგინეს და წარდგენილია დასამტკიცებლათ) და ერთ-კლასიანი სამრეწლო სკოლა; ამ ორივე სკოლაში ორასამდის მოსწავლე ბავშვა ორივე სქესისა. აქაური აზნაურობაც მხნველ-მოყვებია, როგორც გლეხი და მონაწილე სკოლასშიაც. აგრეთვე არის უფასო სახალხო სამკითხველო. საზოგადოებას გამოუღია ორი ათასი მანეთი თანხათ. რის სარგებელიც ერთ მასწავლებელს აკმაყოფილებს. სახელმწიფოთ და სასოფლო გადასახადის მოკრებაც არ არის ისე ძნელი, როგორც სხვაგან. „ნედომიკები“ აქ ცოტა არის. გზები, შედარებით უწინდელთან, შეკეთებულია: ერთი მიდის ქ. ოზურგეთში, მეორე სად. სუფსასე და მესამე კი სად. ნატანებზე, ამ სამივე გზას მიქელ-გაბრიელის ეკონომიურ მდგომარეობაზე ფრიად დიდი მხიშვნელობა აქვს. ინტელიგენტთა რიცხვა ამ სოფელში ბოლო ხანებში შესამჩნევათ იმატა, რაც იმედია მცხოვრებლებზე გავლენას იქონიებს. ამდენ ხანს თუ თავს იყრიდენ სოფლის სასამართლოში სოფლის მსჯეულები და ათასობით საქმეს არჩევდენ, ესლა ერთი ასათ ნაკლებია ასეთი საქმეები; უმეტესი ნაწილი ხალხისა დაწმუნებულთა, რომ კაცი საჩივრებით და „კანცელარიაში“ სიარულით ვერაფერს შესძენს თავის თავს ცუდის მეტს. უსიამოვნო ამბავსაც შეხვდებით აქ, მაგრამ იშვიათათ. წელს სამხედრო ბეგარში გასვლა 7—8 ემწვიდ კაცს შეხვდათ.

ეგელა ამებთან აქაური გლეხი, უთუოთ დიდ ხანს ცათრების გავლენის ქვეშ უფინის გამო, ხშირათ ხმარობს საკუთარ კანონს იქ, სადაც თვითონც დაწმუნებული არის, რომ კარგს არ ჩადის. ამისთანა ჩვეულებას გასაკვირველიც არ არის, რომ ხანდახან კაცის მსხვერპლიც მოჰყვას, როგორც ამ დღეებში მოხდა თ. ნაკაშიძეების ტუის მცველთა შორის დაღის ადების დროს: გლეხმა თ-ქმ ტუვით დასჭრა გლეხი გ--ხიქ,

საქართველოს  
საბჭოთაო  
საზოგადოებრივი  
საბჭოთაო  
საბჭოთაო

რომელიც ძლიერ სწიშ მდგომარეობაშია. დროა ჩვენმა ხალხმა შეიგნოს მათივე კეთილდღეობისათვის შექმნილი კანონი და არ მიმართოს ისეთ ბარბაროსულ კანონს — თოფ-ხანჯალს, რომელიც ერთს წუთი-სოფელს ასაღებს, და მეორეს კი ნაცნობ-ნათესავთ და სამშობლოს...

ვაკელი.

ჭუმათი (გურია). ს. ჭუმათი მღვებარეობს ქ. ცხუტკეთიდან 13 ვერსტზე, სადგურ ჭუმათიდან 8 ვერსტზე, სადგურ სუბსიდან 15 ვერსტზე და სადგურ ლანჩხუთიდან 15 ვერსტზე. ამ სოფელში არსებობს ერთი ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა, რომლის ორ კლასიანთ გადაკეთებაზე წელს გაგზავნეს თხოვნა სადაც ჭერს არს. ამ სოფელში კიდევ ერთი სამრევლო სკოლაც არის ადგილობრივ „დეგენურზე“, რომლის დასამტკიცებლათ 3 ამ ნომერს შედგა მრევლისაგან განაჩენი; მღვდელმა სამსონ დანიაშვილმა აღუთქვა მრევლს ყოველ წლებით ამ სკოლისთვის ხუთ-ხუთი თუმანი; ამავე პატივით მღვდელმა შეიძინა საკმაო მიწა და ზედ ააგო თავის ხარჯით სკოლის შენობა. ჭუმათიდან ორი-სამი ვერსტის მანძილზე მალა გორაზე არსებობს მთავარ ანგელოზის მონასტერი, რომელიც წინეთ სობორი ეწოდება. ამ მონასტრის დეობა, „მთავარ ანგელოზობა“. იციან 8 ნომერს, სადაც იკრებიან სხვა-და-სხვა სოფლებიდან აუარებელი ხალხი; წელსაც არ შეუშინდენ გლახა ამინდს და დიდძალი ქალი და კაცი მოაწვდა საღვთავათ; ფულს კარდა შემოწირულება შემოდის: ხარები, ცხვრები, შინაური ფრინველები და სხვა.

როგორც ამას წინეთ გახუთებშიაც იყო მოხსენებული ამ სოფელში სხვა-და-სხვა სამკურნალო წყლებია მკაფიოთად: გოგირდის წყალი; რკინის წყალი და სხვა. თუმცა ესენი უზატრინოთ, ველურათ არიან მიტოვებული, მაგრამ მაინც მრავალი ხალხი მოდის ზაფხულობით სანახაოთ, როგორც ამბობენ ძლიერ რგებს ქარაიან სნეულებას.

გოგირდის აბანოა „ლაშის“ დელის პირათ, „ნაქუბარის ქედის ძირში“. წელს ამ ქედის წვერი ოდნავ ჩამოხვავდა ავღრების დროს, სადაც აღმოჩნდა გოგირდის და თოფის წამლის მავარი მადანი (Руда), ამბობენ კი, რომ უეჭველათ გოგირდი და თოფის წამლია, ჭერ არავის არ გაუშინჯავს. კარგი იქნება ვინმე გამოცდილი ინახულებდეს, როგორც მადანს, აგრეთვე აბანოებსაც. მადანი არის კერძო შემამულის საკუთრება.

ს. ჩხარტიშვილი.

ურუნალ-გაბუთუმიდან

პირველ დეკემბერს გამოვიდა პირველი ნომერი „სნობის ფურცლისა“ გაფართოვებული პროგრა-

მით და ფორმატით. რედაქცია თავის საპროგრამო წერილში სხვათა შორის სწერს შემდეგს:

„ჩვენ საზოგადოებრივი ცხოვრება გუშინ დავიწყეთ. ორმოცე წლის წინეთ ჩვენი ცხოვრება თითქმის არაფრით არ განიხივებდა დანარჩენ აზიურ ხალხების უმოდრავ არსებობისაგან. მაგრამ შესამოცე წლების შესანიშნავმა სოციალურმა რეფორმამ შეანძრა ძველი დედა-ბოძი ჩვენის ცხოვრებისა და იქიდან იწყება ჩვენი საზოგადოებრივი განვითარება ევროპულ კულტურის გავლენის ქვეშ. საგლესო რეფორმამ შესცვალა ერის ცხოვრების ეკონომიური საფუძველი და შექმნა პირობები ახლის ცხოვრებისა. ფეოდალური წეს-წყობილება, დაფუძნებული ნატურალურ მეურნეობაზე, იშლება და ნელ-ნელა ადგილს უთმობს სოციალურ-სამრეწველო წეს-წყობილებას. ეს სოციალური ცვლილება იწვევს ჩვენი ცხოვრების ყველა მხარეების შეცვლასაც. ჩვენი ხანა — გარდამავალი ეპოქაა, როდესაც ძველი საკმაოთ მოიშალა, ახალი კი მხოლოდ იწყებს მოქმედებას...

სხვა-და-სხვა ხელშემშლელ ეკონომიურ მიზეზების გამო, ახალი წეს-წყობილება მეტათ ნელა შეარდება ჩვენში და ევროპიულ ცხოვრება კიდევ არ დაერქმევა ჩვენს ცხოვრებას. რაც ევროპაში უკვე გამოჩნდებოდა და განსაზღვრულ ფორმაში ჩამოიხსნა, ავი ჩვენში უფრო ემბრიონის მთავარს, რომლის ფორმები ძლიერ სჩანს. რამდენადაც ეკონომიური საფუძველი განუმტკიცებული, გამოურკვეველ-გაუმარტებულია, იმდენათ ზედ შენობაც განუმტკიცებულია და ხსიათდება გარდამავალ ეპოქის ჩვეულებრივის ნიშნებით...

„მიუხედავათ ამისა, ჩვენ, როგორც ვთქვით, გვწამს, რომ საგლესო რეფორმის შემდეგ ჩვენი ქვეყნის განვითარება დაემორჩილა ევროპის კულტურის ევოლიუციის კანონს და იმავე გზით უნდა წავიდეს წინ. აქედან ირკვევა ჩვენი პოლიტიკის ერთი მხარე: ხელი შევუწყობთ ევროპულ მოწინავე იდეებისა და საუკეთესო მისწრაფებათა განცობა-შეთვისებას და გაგრძელებას; თვალ-ყური ვადევნოთ ჩვენი ცხოვრების განვითარებას ახალი კანონის გავლენის ქვეშ და ავხსნათ ყოველი მოვლენა იმ მხრით, თუ რამდენათ ეთანხმება იგი საერთო პოლიტიკურ გზას, ან რამდენათ ეწინააღმდეგება მას.

საერთო პოლიტიკური ევოლიუცია, რომლის შესახებ აქ ვლახარაკობთ ჩვენ, სრულიად არ ეწინააღმდეგება ეტნოგრაფიულ თვითარსებობას. ამ მხრით ჩვენმა ერმა სრულიად ახალი ცხოვრება დაიწყო ასე წლის წინეთ. გაშინ მოიხსნა მისი პოლიტიკური თავისუფლება და დადგა ახალი პირობები მის ეროვნულ განვითარებისათვის. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს ჩვენის ეროვნულ-ეტნოგრაფიულ არსებობის აღმოფხვრასა და გადაგვარებას. ჩვენი ენა, ჩვენი ლიტერატურა, ეროვნული თვისე-



ბები და ანსება რჩებიან და ვითარდებიან. ამ მხარეს —  
 ეროვნულ თვითნებობების გადვიძებისა და ზრდის  
 საქმეს, — შესანიშნავი სამსახური გაუწიეს ჩვენმა მოღვა-  
 წეებმა და ლიტერატურამ შესამჩნევ და შესამცდდათე  
 წლებში. ჩვენ გვწამს მათი ამაგი, გვწამს სიდიადე მათის  
 იდეალისა და ამიტომაც მოვალენი ვართ განვაცრძოთ  
 მათი შრომების თვითნებობების განვითარებისათვის“.

კოტა ქვემოთ გაზეთი ჩივის, რომ  
 „უფრო ხშირად ჩვენს საქმეებს იკვლევ-ობიებენ  
 ადგილობრივი რუსული გაზეთები; ამიტომაცაა, რომ  
 ქართველი მკითხველი უმოდება ქართულ ჟურნალ-გაზე-  
 თობას. ჩვენ გვსურს შევებრძოლოთ ამ ანონალურ გა-  
 რემობას და ჩვენის ქვეყნის საქმეების შესახებ სჯი-  
 და ბასით, ჩვენის თანამედროვე ცხოვრების შესწავლა-  
 გაცნობით და ამასთანავე გაზეთის უკვლავ განყოფილებათა  
 გაყვება-გაუმჯობესობით დაგუბრუნოთ ქართველი მკითხვე-  
 ლი ქართულ ზრესასა“.

აი ამ მეტათ საჭირო პროგრამის განხორციე-  
 ლებას გვპირდება რედაქცია და ჩვენც ვუსურვებთ  
 ამ გზაზე შეუჩერებლათ სიარულს. ჩვენ გვწამს  
 რომ ჩვენში შეიძლება ერთი რიგიანი ყოველ  
 დღიური გაზეთის გამოცემა და დეე ასეთი გაზეთი  
 იყოს „ცნობის ფურცელი“.

## ჩვენი სახიობა.

ღმ თვის 7 ქართულ თეატრში ქ. ფე. მესხის  
 საბენეფისოთ წარმოადგინეს 4 მოქმედებიანი დრამა  
 „დენიზა“ („შენდობა“), თხზულება ალ. დიუმასი  
 და ვოლდეილი „ადვოკატთან“. დიუმას თითქმის  
 ყველა დრამა არკვევს ცოლ-ქმრობის კითხვას და  
 თუმცა შინაარსით მეტათ მარტივი და უბრალოა,  
 მაგრამ დრამატული მომენტებით ერთობ მდიდარი  
 და რთულია. დიუმა ერთ პატარა ამბიდან ისეთ  
 დრამას ჩამოასხამს, რომ მთელ ქვეყანას სწრაფათ  
 მოედება და ყველა სცენის მიუცილებელ პიესათ  
 ხდება. სწორეთ ისეთია „დენიზაც“; ახალგაზდა  
 დენიზამ (ფე. მესხი) შეიყვარა ახალგაზდა კაცი  
 ფერდინანდი (შათირიშვილი), მას მიენდო მთელი  
 თავისი არსებით, და, როცა შვილი ეყოლა, ფერდი-  
 ნანდი აღარ ირთავს და მას ხელს ჰკრავს. ქალი  
 ურიგდება ამ ბედს, რაიცა მხოლოთ დედა-  
 მისმა იცის; ოთხ წელს შემდეგ მას იყვა-  
 რებს შეძლებული ახალგაზდა გრაფი დე-  
 ბარდენი (სვიმონიძე); გრაფს იყვარებს ქალიც, მაგრამ,  
 როცა გრაფი ცოლობას თხოვს, ის უარს ეუბნება,  
 მე გათხოვების უფლება არა მაქვს, ვიყოთ ისე,  
 როგორც და-ძმაო. გრაფს უკვირს ეს, მიზეზს ეძებს  
 და ბოლოს ამას ხსნის თვით დენიზა, მე ამხადა

ნამუსი ფერდინანდმა და მით მოვისპე გა-  
 საფუძველოა. და აი ახლა იბადება კითხვა: შეუ-  
 ძლია კაცს, რომელსაც გაგიჟებით უყვარს ქალი,  
 ქალი მეტათ ჰკვიანი და რიგიანი, მაუტევოს ასე-  
 თი შეცდომა, დაივიწყოს მისი წარსული და შეირ-  
 თოს? გრაფმა გადაწყვიტა არ შეუნდოს დენი-  
 ზას, არ აჰყვეს მარტო გრძნობას სიყვარულისას  
 და მით საზოგადოება არ ააღაპარაკოს. დენიზას  
 მამა (გუნია) იგებს ყოველივეს და აიძულებს ფერ-  
 დინანდს შეირთოს დენიზა. აი ქორწინების დღეც  
 დაინიშნა. ამ დროს გრაფს მოველინება მისი მე-  
 გობარი, ტუვენენი (კ. მესხი, კაცი პატიოსანი,  
 ცოლ-შვილიანი და ურჩევს გრაფს შეუნდოს დე-  
 ნიზას და შეირთოს იგი. გრაფი ყურს უგდებს მის  
 ლაპარაკს და არ იცის რა ჰქენას: ერთი მხრით გრძნო-  
 ბა სიყვარულისა, საყვარელი არსების საკვირველი  
 ჰკვა-გონება, სიღარბაიხლე და სიპატიოსნე, და  
 მეორე მხრით საზოგადოება, რომელიც ყოველ-  
 თვის კიცხავს ასეთ ცოლ-ქმრობას — აი ამ ორ  
 ცეცხლში ტრიალებს გრაფი. დენიზა მიდის, მარა  
 არა ფერდინანდზე ჯვარის დასაწერათ, რომელიც  
 მას ახლა აღარ უყვარს, რომელიც სძულს, არამედ  
 მონასტერში ცოდვების მოსანანიებლათ. და აი,  
 ამ დროს გრაფში იფეთქებს კეთილშობილური  
 გრძნობა და კარზე გასულ დენიზას მიაძახებს,  
 დენიზა, ჩემი ხარო! ამით სრულდება დრამა. რო-  
 გორც ხედავთ, ეს ნამდვილი პსიხოლოგიური დრა-  
 მაა და მისი წარმოდგენა დიდ დაკვირვებას მოით-  
 ხოვს. თვითონ მობენეფისემ ქ. ფე. მესხმა თავისი  
 როლი, როგორც ყოველთვის, ჩინებულათ ჩაატა-  
 რა. მისი თამაშის ცქერა მართლა რომ დიდი სია-  
 მოვნებაა. მისი მიმოხვრა, დიქცია, სახის-გამომეტყ-  
 ვილება, გონიერათ ლაპარაკი — ყველა ეს გავიწყებს  
 სცენას და თვალ-წინ გიყენებს ცხოვრების ნამდ-  
 ვილ სურათს. თითოეული მისი სიტყვა შიგ გულ-  
 ში გხვდება და სამუდამოთ იბეჭდება. მისმა  
 გამოტყვამ გრაფის წინაშე ბევრი აატრემლა და  
 ქალის უნამუსოთ მოტყუება სამარცხენოს ბოძზე  
 გააკრა. ასეთი არტისტი საზოგადოების დი-  
 დი აღმზრდელია და მხოლოთ უნდა ვწუხდეთ  
 იმას, რომ ქალბატონი მესხი ასე იშვიათათ გვე-  
 ჩვენება ხოლმე სცენაზე. დანარჩენ მოთამაშეთა  
 შორის ყურადღება დაიშახურა ქალ. რენელმა,  
 ფერდინანდის დედის როლში. ეს ქ-ნი ნამდვილი  
 ფრანკუზის ქალია, რომლის იდეალი რაც შეიძლება  
 მეტი სიამოვნება და კოპწიობაა, და აი ეს ძნელი  
 როლი ქალ. რენელმა კარგათ ჩაატარა. ის იშვია-  
 თათ გამოდის სცენაზე, მაგრამ არასოდეს ისე  
 კარგათ არ უთამაშია როგორც ამ პიესაში. კარგი

იყო აგრეთვე ბ. კ. მესხი და ვ. გუნია. ბ. სვიმონიძე კი ვერ იყო თავის ალაგას. დანარჩენები ანსამბლს ხელს უწყობდნენ. ვლადევილმა ჩვეულებრივით მხიარულათ ჩაიარა. ხალხი ბევრი დაესწრო და მობენეფისე აღტაცებით მიიღეს.

## ყარამან მწერალი

„კვალის“ 1899 წლის მე-38 №-ში დაიბეჭდა სოფელ ასკანიდან (გურია) გამოგზავნილი კორესპონდენცია, რომელიც თავდება ასე: „ახლანდელი ჩვენი მამასახლისი მხოლოდ კანცელარიის და საზოგადოების მორთულობა--დეკორაცია და მწერლის იარაღი, სხვა არაფერი. როგორც დედოფალს აგრე ათამაშებს მწერალი ჩვენ მამასახლისს, როგორც უნდა ისე ახტუნებს. სამაგიეროთ თვით მწერალი ხალხის ცარცვაში და მწერლური ხრიკების შესწავლაში ძლიერ შორს წავიდა: ცნობილ მოსე მწერლის ტიპი შექმნა, ასე რომ განსვენებული ნინოშვილი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ჩვენ სიტყვა კაზმულ ლიტერატურას ახალ ნაწარმოებს შეჰმატებდა შემდეგი სათაურით: „ყარამან მწერალი“. ეს ვაჟ ბატონი მწერლის ქერქში ველარ ეტევა და ახლა უნდა ბარემ მამასახლისის ქერქშიაც გაეხვიოს, რასაკვირველია ფორმალურათ, ამიტომ მომავალ სამამასახლისო არჩევნებზე ფიქრობს თავისი კანდიდატურა წამოაყენოს. მაგრამ არა ვფიქრობ, ჩვენ საზოგადოებას, რომელიც წინეთ ცნობილი იყო, როგორც შეგნებულათ მომქმედი, ისე დაებნეს დავთარი, ისე დაპკარგოს თავისი ინტერესების შეგნება, რომ მტერ მოყვარე ველარ გაარჩიოს“. აი ამ „ყარამან მწერალში“ თავისი თავი ეცნო ასკანის მწერალს ყარამან ნინიძეს და, თუმცა მაშინ მის გასამართლებელ წერილსაც მივეციით აღგილი „კვალში“ (№ 42, 1899), მაგრამ „ყარამან მწერალი“ ამით არ დაკმაყოფილდა და წესდების 1039 მუხლის ძალით პალატაში შეიტანა საჩივარი „კვალის“ რედაქტორზე, ბეჭდვით შეურაცხყოფა მომაცენაო. კანონის ეს მუხლი ითხოვს მხოლოდ დამტკიცებას იმისას, რომ მომჩივანი შეურაცხყოფილია, მეტს არაფერს, ხოლო რამდენათ საბუთიანია ეს შეურაცხყოფამის განხილვაში სამსჯავრო არ შედის, ვინაიდან აქ მოწმეებს არ ღებულობენ. რასაკვირველია ყარამან მწერალს შეეძლო ეჩივლა მეორე მუხლის ძალითაც, რომელიც შეურაცხყოფის დამტკიცებას თხოულობს მოწმეებით, მაგრამ ამას ჩადის ისეთი, რომელსაც არ ეშინია მოწმეთა ჩვენების. და აი ეს საქმე

გაირჩა 5 ამ თვეს. ყარამან მწერალმა პალატას წარუდგინა მამასახლისის მოწმობა, რომ ის, მისი მწერალი, ჩინებული კაცია, 150 კაცის მიერ ხელმოწერილი მოწმობა, რომ ყარამან მწერალი ასკანის ერთი საზოგადო მოღვაწეთაგანია, რასაც ამოწმებს იგივე მამასახლისი და სხ. ერთი სიტყვით, ყარამან მწერალი ამტკიცებდა, რომ ის ცნობილი საზოგადო მოღვაწეა და „კვალის“ რედაქტორი უნდა დაისაჯოსო. ამასთანავე პალატას თხოვა, გთხოვთ ჩემი გამამართლებელი განჩინება სატახტო ქალაქების გაზეთებში გამოცხადდესო... სამსჯავრომ, შემდეგ მოკლე თაბირისა „კვალის“ რედაქტორს ანასტასია წერეთლისას გადაუწყვიტა ათი თუმანი ჯარიმა, ხოლო ყარამან მწერლის თხოვნა „ეს ამბავი პეტერბურჯის გაზეთებში გამოაცხადეთო“, უყურადღებოთ დატოვა. ქანასტასია წერეთლისას ეს საქმე სენატში გადააქვს.

### ჭიათურის ვარამი.

შავი-ქვის კრიზისი კვალად მკაცრობს და უწუხებს სულს ჩარჩებს, მრეწველთ და მუშა-ჩაღვადრებს. უმრავლესობას ბანკებმა მოუსპეს კრედიტი და თხოვენ უკანვე ნასესხ ფულს, რაიცა ბადებს ჭიათურაში ქრისტეს ტირილს. 70 მილიონი ფული უკვე დამზადებული მარგანეცი აწყვია შავ მთებთ ჭიქაურა-ჭიათურა-ფოთში და მყიდველი არსად არის. ევროპა-ამერიკა არ ჩქარობს წელს ჩვენში შავი-ქვის ყიდვას; მხოლოდ ორიოდ ექსპორტიორმა მოასწრეს და კარგ ფასებშიაც გაჰყიდეს თავისი ქვა, მათ ხარბი თვალთ უცქერიან დანარჩენნი. ოდესის ურიები და სხვა ამ გვარი მაკლერები ქუჩმაჩობენ, არიან ერთ ფაცა-ფუცში და მიწერ-მოწერაში ქვის გაყიდვის შესახებ, მაგრამ უნაყოფოთ. იმედებს ბევრს გვაძლევენ და ეს იმედი მხოლოდ უნაყოფო იმედათ რჩება, მათ კიდევ უფრო წაახდინეს საქმე. ამგვარმა მკაცრმა პირობებმა და სხვა მიზეზებმაც დაახლოვეს ერთმანეთს ექსპორტიორები, რომლებმაც კიდევ წინეთ ოსტატობით გამოითხოვეს ნება-რთვა ვაგონების ჯერის გადაცემისა და მასთან საშინლათ დასცეს ქვის ფასი ბაქნებზე. ბაქნის პატრონი იხვეწება ექვს კაპეკათ ფუთს და კაცი წამლები არაა; სასწორზე კი ეს ვაჟბატონები აძლევენ შვიდკაპეკსაც კი. ამ გვარი ქვის ფასის დაცემა ბაქანზე გამოიწვია ვაგონების ჯერის გადაცემ-გადმოცემამ და უმეტესათ ექსპორტიორების პირის შეკვრამ, რომ არ იყიდონ ბაქანზე ქვა და მით მრეწველთ შეაძულონ ბაქნები, რათა

კვლავინდურათ დატოვონ ისინი საწველ ფურათ. ამას ხელს უწყობს სასტიკი კრიზისი და ბანკების კრედიტის მოსპობა. წინეთ კი ბაქანზე ქვა იყიდებოდა ფუთი 8—9 კაზ. და ორ-შაურათაც, სასწორზე კი მხოლოდ 6—7 კაზ.—ბედი მომე და სანეხვზე დამსვიო, ქიათურის მრეწველებმა უნდა ინატრონ. ეს 400—500 მშრომელი ხალხი მოკლებული იყვენ დღემდე ბაქნებს, კრედიტს, რკინის გზას, უცხოელ მუშტარს, ჩაკეტილი იყვენ ქიათურაში და ასრულებდენ საპარსავ ცხვრის როლს ექსპორტიორების მიმართ, რომელთაც ჰქონდათ ყველაფერი, ბაქანი, ვაგონი, კრედიტი და მუშტარი, ამ რიგათ ესენი გადიქცენ ქიათურის წარმოების ნამდვილ ბატონებათ და როგორც სურდათ იმ ფასათ ყიდულობდენ ქვას. ამ საშინელმა ექსპლოატაციამ შექმნა „სიეზდის“ ოპოზიცია, რის მეოხებით დღეს მრეწველთ ურიგდებათ ბაქნები, მაგრამ ერთი მიბრძანეთ, რის მაქნისია ბაქნები თუ მრეწველმა ვერც კრედიტი გაიხსნა და ვერც ქვა გაჰყიდა! ამ გვარ უნუგეშო პირობაში არიან დღეს შავი ქვის მრეწველნი და მათთან ერთათ მუშა-ჩალვადარი.

ამავე დროს აღმოჩნდა შავი-ქვის მრეწველთ ორიოდ გულ-შემატკივარი, რომელთაც სურთ შეაერთონ მრეწველნი ჰაწია ჯგუფებათ, პატარა კავშირებათ, რათა უფრო ადვილათ მოუბოვონ მათ ბანკებში კრედიტი, გაუყიდონ ქვა პირდაპირ ევროპა-რუსეთის მუშტარზე ფოთში ჩაბარებით და მით გვერდი აუხვიონ ჩარჩებს. იმათი მეოხებით რამდენიმე ჯგუფი, ანუ ამხანაგობა მართლაც შედგა, მაგრამ გამოჩნდენ ბოროტი პირნი,—ჩარჩების აგენტები, რომელნიც დაძვრებიან ხალხში და ქადაგობენ არ შედგეთ ჯგუფებათ და კავშირებათო. ხალხიც სამწუხაროთ უჯერებს მათ. ამ რიგათ შეფერხდა ეს ფრიად სასარგებლო საქმე. ამავე დროს აღმოჩნდენ ორი-სამი მსხვილი ჩარჩნი (სომხები), რომელნიც ყიდულობენ ოხრის ფასათ წვრილ მრეწველთაგან ბაქნებს; საჭიროა მიექცეს ყურადღება ამ სავალალო მოვლენას!

ამ სამი კვირის წინეთ ერთ შვენეირ დილას ქიათურის სადგურს დაეტყო სიცხოვლე; მობრძანდა თავისი ამალით რუსეთის რკინის გზათა მთავარი ინსპექტორი ბ. გორჩაკოვი. ბ. ემერიკმა დაუწყო ბ. გორჩაკოვს მსხვილ მრეწველთა სასარგებლო ბასი, რამაც გამოიწვია ბ. ს. ქ.—ნის პასუხი. ბ. გორჩაკოვი იჩქაროდა წასვლას და თხოვა მათ მისვლა თფილისში და ყოველივეს დაწვრილებით ახსნა. თფილისში, როგორც ვიცით, იყვენ კომისიის ოთხი წევრნი, იყვენ არა წევრნიც... ამ კვირაში აქ საშინელი წვიმები მოვიდა

და მთელი ქიათურა აატალახა. სად უნდა იდგამ ფებს ყველგან ეფლობი მუხლებამდე შავ ტალახში, რომელიც გაძრობს ფებიდან არამც თუ კალოშს, არამედ მაღალყელიან ჩექმასაც კი. ბევრ ალაგს ფებით გავლა შეუძლებელი ხდება, ზოგან ცხენებიც კი ეფლობა მუცლამდე. ამასთან წარმოადგინეთ საშინელი სიბინძურე და სიბნელე (უფარნობა) და თქვენ დაგებატებათ მკრთალი სურათი ქიათურის სიშვენიერისა. დღემდე ვკითხულობ და ვერ გამიგია თუ ვისი საქმეა ქიათურის კეუილ დღეობაზე და წესიერებაზე ზრუნვა: სიეზდის თუ ადმინისტრაციის? თუ სიეზდის საქმეა, მაშ რატომ არ აქცევს ყურადღებას საბჭო! გზების შეკეთებაზე 30 ათასი მანეთია გადადებული და დიდი საქმეა ათასი მანეთი დახარჯონ და შეაკეთონ ქიათურის გზები.

ეს ორი კვირაა ქიათურას ეწვიენ რუსეთის ორი ცნობილი პირი: კაპიტალისტი და ინჟენერი ბ. მალერი კონცესიის მონაწილე და მრავალი გზების გამომკვლევე ცნობილი ინჟენერი ბ. მერზო. ეს პირნი უკვე შეუდგენ იმ სამადნო ვიწრო რკინის გზების გამომკვლევას, რომელიც უმაღლესათ ბოძებული აქვს კონცესიით მემამულეს თ. გ. დ. წერეთელს. ამ ინჟენრებს თან ახლავან ახალგაზდა ტენოლოგი და მიწათ მზომელი ძმანი დაკიშვიჩები. ესენი უკვე შეუდგენ მუშაობას, ხოლო ცუდი ამინდები უშლიან მათ ხელს. როგორც ვიცო, იმათვე უნდა გაიყვანონ რკინის გზა დ. საჩხერედან ქალის მთაში ოცივერსტის მანძილზე; ეს მთა ცნობილია თავისი ტყეებით, აბანოებით, მადნებით და სააგარაკო ალაგებით, რაზედაც არა ერთხელ დაუწყებია „კვალში“ ნეტარ ხსენებულ გ. ე. წერეთელს, ამიტომ როგორც ქალის მთაში, აგრეთვე შავი-ქვის მადნებში რკინის გზის გაყვანას ექნება დიდი მნიშვნელობა ქვეყნისთვის, მცხოვრებთათვის, მრეწველთათვის და თვით დ. საჩხერესთვის და ქიათურისთვის. კონცესიონერებს კი ექნება ამ გზების ექსპლოატაციით დიდი მოგება. ამიტომ ვისურვებთ გულით, რომ ეს ფრიად სასარგებლო საქმე, ე. ი. რკინის გზის გაყვანა მადნებში და ქალის მთაში, მალე მოხდეს.

ს. ქიათურა. 4 დეკემბ. 1900 წ. მიცანი.

ყოცა რამ სამეგრელოზე და მეგრელებზე.

ღრ ვეიქრბ სქართველთ რმელსამე კუთხეზე ისეთი შემდლანი აზრი იყთს დამყარებული საზოგადოებაში, რდგორიცი არის სამეგრელოზე და მეგრელებზე. შეხედულება ორ-გვარია: საზოგადოების ერთ ნაწილს სამეგრე-

საქართველო  
საქართველო



მეგრული

K. TOMAL

დღის გაგონებისთანავე თვალ-წინ ეხატება პატრიარქალურ ძონძებში განხეული მხარე, რომელშიაც ჯერ სრულებით არ შეუნათა კურთხეულ ცივილიზაციის სხივებს და სადაც ქურდობა ახლაც ვაჟაკობათ ითვლება. მეორე პარტიას ის მიაჩნია თანამედროვე ხანის რამოდენიმე საფეხურ გარეულ მხარეთ, რომელშიაც, საუვარდელი პოეტის სიტყვით, „მაღალ ნიჭიერი“ მეგრული მრეწველობა და აღებ-მიცემობაში სასწაულებს ახდენს. ბევრისაგან მსმენია, რომ თუ საქართველო ეკონომიურათ წელში გაიმართა—ეს მეგრელების წყალობით იქნებაო, უკანა-

სკნელ აზრს მწერლობაშიაც შეხედებით. ჩემი აზრით ორივე შეხედულება ცდამეტებულია. ამას ჩვენ დავინახავთ ამ ქვეყნის მოკლე აღწერით: როცა ცხენის წყალს გაღმა გადისართ, თქვენ ურადლებას პირველათ მიიქცევს თვალ-გაღწვანელი და დაუმუშავებული მიწდარი, წინ ბუნქები და გვერდზე ბუნქები; აქა-იქ, მართალია, დაინახავთ, თუ ზაფხულაო, ეახესაც, მარა რა გამჩნდება ერთი ზვირთი ზღვის სივრცესთან. თქვენ თანდათან წინ მიდისართ. თვალ-წინ გეშლებათ მთა და ბარი, მიწდარი და ველი და ვეგლას ესენი ხათლათ გელანარა-

საქართველო

კებათ ადგილობრივ კულტურის მდგომარეობაზე. ყოველი ბილჰიმი გაგაგებობით, რომ აქ არ მუშაობს განსწავლული ხელი. ტყეები ძველებურათ დაბურულ-გაუწმენდავია, მინდვრები ჩვენებურათ დამუშავებული, მთა-გორა ხელ-უხლებელი, გზები გაუწვადი! ირგვლივ ძილის სეწარია გადაფარებული, მხოლოდ საერთო გარმონიას არღვევენ მწვემსები, სადაც შორს მიმავალი მგზავრი, მძივარი ზირუტყვი და მორეულ სოფელიდან ძაღლის ყეფა. ასეთია ბარი. უარეს შთაბეჭდილებას ახდენს მთა-გორა. იქ თითქმის ერთიანათ შეწვევატილა ცხოვრება. შეიძლება საიდანმე მოგესმას ნაჯახის ხმა და ან დაინახო მჭლე „ქაცარი“ — ეს მეგრელების მღვდელი, როგორც იმერლებმა მოხატეს ის. როგორც მთაზე, ისე ბარში მძივარი ზირუტყვნი მეტათ დაბალი და თითქმის უვარგისი ჯიშისა — ძრახა და ხარი რადაც ზატარა ჯურის, მჭლე; ცხოვრები გამოუსადეგარი ბაღნით (მატყელით) შემოსილი; მხოლოდ მარტო ცხენი და მათ შორის ჭკაი ცხენი ახდენს სასიამოვნო შთაბეჭდილებას. ამ ზირუტყვთა გრავაში ურევია „თარაქანის“ და ახალციხელი საქანელიც. მხოლოდ იმათი თითზე ჩამოთვლა შეიძლება და მასთანვე ისინი ამართლებენ ბრძნულ ქართულ ანდახას: „ხარი ხართან დაბი, ან ხეს იცვლის, ან ფერსა“. მეგრელებს ჯერ ვერ შეუსწავლიათ კარგი მოვლა, ვერ იცნობენ თანამედროვე მოძღვრებას ჯიშის გაკეთილშობილებათა გათავაზება-გამრავლებაზე... ძველებური ბაგა, ძველებური საჭმელი და ძველებური მოვლა!.. თვით მიწის მუშაობა ამ გვარ მდგომარეობაშია სამეგრელოში: ზრდიტიული იარაღი და ცოდნა. რასაკვირველია, ვერ გამოადენს დედამიწას საკმაო წვეს. მიწა ნოყიერია. შეხვდებით შავ-მიწას. შევნიერი ნიადაგია ტყეურის და აბაშის ნაბირებზე, მარა სად არის ზატარანი? აგრძობიული ცოდნის კარები ჯერ-ჯერობით დახუჭულია მეგრელებისთვის. საერთოთ ამ მხრივ საქართველოს სხვა კუთხეებიც კოჭლობს; სპეციალური ცოდნა ახალი ხილია ჩვენთვის. ჩნდება ჩვენ მხარეში მადნები — ინჟინრები არ გვევას; მრეწველობა და ადებ-მიცემობა ფებს იკიდებს — აგრძობიულ და კომერციული ცოდნით აღჭურვილი დიოგენის სასთლით საძიარნი ხდება. თანამედროვე ცხოვრებამ ევროპაში სპეციალიზაცია, ცოდნის დანაწილება, უკიდურეს ხარისხამდე მიიყვანა. არამც თუ მეცნიერების ამ თუ იმ დარგს ჭყავს წარმომადგენელი და თხოულობს სპეციალისტ მუშას, არამედ ეს დარგიც ათასნაირათ ნაწილდება და ცალცალკე იმათ ნიჭიერი სპეციალისტი ეჭირებათ და ჭყავთ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სამეგრელოში ზოგაერთი მებატონე ცდილა მიწის დამუშავების თანამედროვე ნიადაგზე დაყენებას. ამისთვის კიდევ მოუწევიათ მცოდნე ზირებიც. ასეთები, როგორც გადმომცეს, თანდათან მრავლდებიან. უკვე ამ მცირე აღწერით დარწმუნდებოდა მკითხველი, რომ სამეგრელოში ცოდნა ბეუტავს; ის არ ჩამქრალა, არამედ წინ მიიწევს. სასამდის სოფელზე

გადავიდოდე ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ სამეგრელოს ტიბზე.

ყველა ჩვენგანს, აწერილობის თუ ნაამობის წყალობით, მეგრული წარმოდგენილი ჭყავს წვრილ, ხმელ ზირისახის მქონე. მკვირცხლ, ცოცხლ ადამიანათ. საუბედუროთ თუ საბედნიეროთ ამ გვარი ტიბი უკვე გაშქრალა. მისი ადგილი დაუჭერია რადაც საშუალო ტიბს გაბერილ იმერულ ვაჭრის და უფილ მეგრულს შორის. ქალაქათ კასული მეგრული უმეტესათ იკივე „დომრეტელა“ იმერელია. ნიჭიერი ფიზიონომისტი და მასთანვე ქართული ტიბის მცოდნე უნდა იყო. რომ მათ შორის რამე განსხვავება ნახო.

სამეგრელოში სოფელი კარგობით მეტათ კარგ შთაბეჭდილებას ახდენს, ასე რომ ბუნების მოყვარულს შეუძლია მისი დანახვით სრული ისტორიული საიმოვნება იგრძნოს; ის ერთიანათ ყვავილებში და ამწვანებულ ხეებშია ჩაფლული და მით ლამაზათ და მწიფობათ დარგულ ხეხილის ბაღს წაგვას. რამოდენათ უახლოვდებით შას, იმოდენათ ბაღი ფართოვდება და თქვენ უარადდებათ მიიქცევს სადაც შორს გამოჩენილი ეკლესიის ჯვარი და ან რომელიმე ოდის ბუხრის ზემო ნაწილი. ბოლოს კი თქვენ წინ გადიშლება რამოდენიმე მოსახლობა. მოსახლობა უმეტესათ ძველებური, ჩვენებური. მოხდილი მწვანე ბაღანით შემოსილი და ან უანათ ქვეული ეზო, შუა ადგილას ოდა ანუ „ჯარგველა“, მის უკან სამზარეულო, სასიმიდე, ბეღელი, სადორე, საბატე, საქათმე და სხვა. აქა-იქ ეზოს ამშვენებენ ხეხილები, რომელთა შორის ყველაზე მედიდურათ და ამაყათ ძველი ნიგვისის ხე გამოიჩენება. ეზო შამოდობილია. დობე უმეტესათ წიწვლისა, თუმცა შეხვდებით სარკების დობესაც დობის კიდებზე ჩაფლებულია ახლო-ახლო და მწკრივათ რომელიმე უნაყოფო ხე. ასეთ დობესთან ჩაფლებულ ხეების ზღანტაციას ჩვენში ძლიერ ხშირათ შეხვდება ადამიანი. უმეტესათ ზემო აღნიშნულ დანიშნულებას ასრულებს აფვის, ღობიოს ხე... ასეთია სოფელი ბარში; მთიან ადგილებში ის ცოტათი სხვა ელფერს დებულობს. თუ დაბლობში ხშირათ შეხვდებით ახლო, მეზობლათ დადგმულ და გაშენებულ მოსახლობას, მადლობაში ასე არ არის, ერთი მოსახლიდან მეორემდე გვარანნი გზა არის გასავლელი. ერთი მიზეზთაგანი ამ მოფლენისა იმალება თვით მდებარეობაში, იმ ოღრო-ჩოდრობაში, რომელიც ნებას არ აძლევს მცხოვრებს მახლობლათ ეზოსთ. ვის შესაფერი ადგილი ამოიჩინოს. ხანდახან ერთი მეზობლიდან მეორემდე იმდენი ადგილი ძევს, რომ მამასახლისი, თუ კი მეზობელთან გამოლაპარაკება სურს იძულებულია გადმოდგეს მადლობა ადგილზე და შესაძლებელი მადალი ხმით იძახოს მეზობლის სახელი. განსხვავებულია აგრეთვე ნადგომრებიც; სახლის არხიტექტურა იქ სხვანაირია, ეზო ისე დამშვენებული არ არის, ზატარა სახლის (სამზადი) და სასიმიდეს გარდა ვერას შეხვ-



# ჩინეთი

დებით. უნდა დავსძინოთ აქვე, რომ ეს უკანასკნელი მხოლოდ მდიდარ ოჯახში შეგხვდებათ. შესამჩნევია ის მოვლენა, რომ სოფელს თითქმის „ეკოლოგიის“ დიდი ასეთია. მკვანერი ზირველ შეხედვაზე იტყვის, რომ ამ ხალხში ეკონომიური და სოციალური მდგომარეობა მოკლე ხანში შეიცვალა. ჯერ ჯერობით, მართალია, აქაური ბატონების ჩამომავლობის მედიდურების ნიშან-წყალი კიდევ შეჩვენია, მარა ეს „ძველი ქონია“, როგორც რუსები იტყვიან. მათი მისახლება მდიდრისა შენობებით, მხოლოდ ისინი მეტათ დაძველებულან, მტირადა თვალით ჩივიან — რისთვის არაფერ არ ცდილობს ჩვენ შეკეთებას. თუ ბატონის მისახლებაზე ეს ითქმის, სპაგიეროთ უმის ამ მხრივ დიდი ნაბიჯი გადადგამს წინ. რასაკვირველია, მიურეუბულ ადგილებში გლეხი ისევ მთხუთხას ჯარგველში ცხოვრობს უმეტესათ; ისეთ ადგილას კი, სადაც მოძრაობას თავისი შუქი შეუწათებია, გლეხობის და წვრილ-ფეხა ახსნის მისახლება კიდევ ჯობს უფრო ბატონისას. თუ კი სხსხლე წინეთ „ბატონისკუას“ ზრდილეკას შეადგენდა, დღეს გლეხს წამოუჭმავს ისეთივე და უკეთესიც, გაუღაქავს კიდევ და ამაყათ წამომდგარი მედიდურათ იტყვიება ბატონის ეზოში.

ამას მიხვდა ზოგი ბატონიც და ცდილობს ინტენსიურ მეურნობით გაიწაღდოს კვა, ზოგიერთმა კი აქამდის სამარცხვინოთ აღსარებულ ხელობას მთქვიდეს ხელი, ეს არის ვაჭრობა და მრეწველობა. ძვირათ ნახვ სამეგრელოში ისეთ სოფელს, რომ ახალგაზდობის უმრავლესობა კარეთ ქალაქათ არ იყოს გასული. სად გინდა რომ მეგრელი არ ნახო? საქართველოს დედა ქალაქიდან დაწყებული ის შეგხვდება კავკასიის ყველა მცირე დაბა-ქალაქებშიაც კი, მეგრელებით გავსებულია შავი-ზღვის ნაპირა ადგილები და შავი ზღვის პირის გუბერნიას. ძნელია აქ ადვილათ გვერდზე ავუაროთ ჩვენი ცხოვრების იმ სენს, რომელსაც კავკასიის და კერძოთ შავი ზღვის ნაპირების კაღნისაიცა ქვია. უფველ წლიური სტატისტიკა ხათლათ ამტკიცებს, რომ ჩრდილოეთიდან გადმისახლებულთათვის ზღაპრული დედინაცვალა დასახლებული მხარე, ისეთი დედინაცვალი, რომელიც გერს არც ატმეეს, არც ასმეეს და ბოლოს მთლათ სწობს. მეორე მხრით ხათელია, რომ მეგრელი თითქმის აქ დასახლებულათ არის შექმნილი, ეს მხარე მათი ხვედრია. მეგრელები ნამდვილი კულტურტრეკერები იქნებიან აფხაზეთში და თან სხსხლმწიფოსდიდ ღვაწლს დასდებენ... როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მეგრელი გამფიდა სასაღებმიცემო მოვლანზე; მან აქ უნარიც გამოიჩინა, მარა საუბედუროთ მეგრელი კაპიტალი, ისე როგორც სხოგალოთ ქართული, რადაც დაწვეულილ მთვარეზე დაბადებული. კაცი შრამობს, ფულს ატრიადებს, კაპიტალს ქმნის, მარა ეს კაპიტალი მეგრე ერთ წერტილზე გააფიება. ამ მდგომარეობაში ის ან ადგილ-მამულათ იტყვევს და ან ბანკში შეინახება. ასეთი მაკალითები მრავალია ჩვენში.

სტ. ვ. შავლია.


ჩინეთი, ეს მხარე ძველებური სწავლისა, ზდილობისა, შვენიერი ხალხის ნაწარმოებ საქონლისა, ეს საშუალო „ციური იმპერია“, როგორც თითონ ეძახიან მას ჩინელები, იტყვევს ამ ბოლო დროს საყოველთაო ყურადღებას. თუმცა ძველი დროიდან არსებობს ჩინეთის სახელმწიფო, მაგრამ პირველი გაცნობა ჩინეთისა ევროპისაგან იწყება — მე-V და მე-VI საუკუნეში მისიონერების საშუალებით.

ვენეციელმა მოგზაურმა მარკო-პოლომ პირველათ აღწერა ჩინეთი 1250 წელს. ამ აღწერამ დიდი შთაბეჭდილება იქონია ევროპელებზე, მით უმეტეს რომ აქ ის ლაპარაკობდა ჩინეთის მეტათ დიდ სიმდიდრეზე. ამას შემდეგ გაახშირეს ჩინეთში მოგზაურობა, რომ ცოტა მაინც რამ ეგლოთ ხელში ჩინეთის სიმდიდრისა.

ქრისტეფორე კოლუმბმაც კარგათ გაიგო ჩინეთის ამბავი ამერიკაში მოგზაურობის დროს. 1517 წელს პორტუგალიელებმაც იპოვეს ჩინეთი. მათმა ვიცეკოროლმა გოამ გაგზავნა ჩინეთში რამდენიმე ხომალდი ფერდინანდ და ანდერდის მეუფროსობით. უკანასკნელი იყო მეტათ ცქვიტი და ნიქიერი კაცი, რომელმაც თავისი კარგი ხასიათით დაითანხმა კანტონის ვიცეკოროლი და შეუკრა ვაჭრობის პირობა პორტუგალიელებისადმი. ცოტა ხანს შემდეგ პორტუგალიელებმა დაიჭირეს ზღვის ავაზაკი, რომელსაც დიდი ზარალი მოჰქონდა და ანადგურებდა ჩინეთს. გახარებულმა ჩინეთის მეფემ ნება მისცა პორტუგალიებს რომ დასახლებულიყვენ ერთ ქვიან კუნძულზე, სადაც იმათ ააგეს ნავთ-სადგური „მაკკა“. ამ დროს ხელ-ახლა დაიწყეს ქრისტეს სარწმუნოების ქადაგება ჩინეთში, მაგრამ ამაოთ, ჩინელები გულ-გრილათ შეხვდენ მათ და დაუწყეს დენა.

ჩინეთის იმპერია შედგება თვრამეტი პროვინციისაგან. მას უჭირავს მთელი სამხრეთ აღმოსავლეთის მხარე აზიის მატერიკისა, სიგძით ცოტა ნაკლებია რუსეთზე, მაგრამ მცხოვრებლების რიცხვი უდრის 400 მილიონს, ასე რომ ჩინელები შეადგენენ მეოთხედს მთელი დედა-მიწის მცხოვრებლებისას. ჩინეთი სიგძით არის 5,000 ვერსტი, სიგანიოთ 3,000-მდე. მისი მომეტებული ნაწილი დაფარულია მაღალი მთებით, რომლებიც სავსეა ათასგვარი მანეულოებით. ბლომათ არის ჩინეთში მარილის წყაროები, საიდანაც ჩინელები აგროვებენ მარილს და აგზავნიან საზღვარ-გარეთ.

მთელი ჩრდილოეთის მხარე საკუთარ ჩინეთისა შემოზღუდულია ვეებერთელა კედლით, რომელიც აშენებულია 2,000 წლის წინეთ მეფე შიხანგ-



ტისაგან. ეს კედელი არის დღეს ერთათ-ერთი ძველი ძველი ღროების ხელთ-ქმნილებისა. სიგძე ამ კედლისა არის 10,500 ვერსტი და გადისარამც თუ მარტო ქალებზე და მთებზე არამედ დიდ მდინარეებშიაც კი. სიგანით ეს კედელი იმოტენა არის, რომ შეუძლია გაიაროს ზედ ექვსმა ცხენოსანმა ერთათ, სიმაღლით 15—30 ფუტამდეა. ამ კედლიდან რომ გავაკეთოთ სხვა კედელი სიმაღლით 12 და სიგანით 4 ფუტი, შეგვიძლია შემოვარტყათ მოვლ დედა მიწას. გამოანგარიშებულთა, რომ იმ მასალით რაც დახარჯულა ამ კედლის ასაგებათ, აშენდება ქალაქი პეტერბურგზე ოთხჯერ მეტი.

ჩრდილოეთით ამ კედლისა მდებარეობს უდაბნო „გობი“ ანუ „შამო“. უდაბნოს ჰაერი ძლიერ ცუდია; ზამთარი აქ ათ-თვეს გაატანს, სიცხე ხანდისხან აღემატება 35°, სიცხე კი 40° და 50° მიაღწევს.

საკუთარ ჩინეთში ჰაერი მეტათ თბილი და ნესტიანია, რომელიც ძლიერ შევლის ბრინჯის მოსავალს.

ჩინელები სხეულის აგებულებით ძლიერ გვანან ერთმანეთს. ხელები და ფეხები მათი მეტათ პატარა და ლამაზია. ფერ-ხორცი შავ-ყვითელი; თმა-წვერი და თვალები ყველას შავი აქვს. პირის სახე მათი პატარობისას მრგვალი და მიმზიდველია, მაგრამ ოცდა-ათ წელს შემდეგ კი დაიწყებს ძვლები გარეთ გამოჩენას, რაც ამახინჯებს პირის სახეს. ქალებს არ აქვთ ისეთი თავისუფლება, როგორც ევროპაში, მათ ვერსად ვერ შეხვდებით საზოგადოებაში, სხედან შინ და ხელთ-საქნარობენ. სახელოვან ქალათ ის ითვლება ვისაც პატარა ფეხი აქვს, ამისათვის პატარაობისას უკრავენ ბავშვებს ფეხს რომ აღარ გაეზარდოსთ. თუმცა ჩინეთში მრავალ-ქორწინება სუფევს, მაგრამ ხალხი ძლიერ ერიდება ამას, წინააღმდეგ ამისა ჩინელები დიდ პატივსა სცემენ უცოლობას. თუ მაგალითათ ქალმა უარი თქვა გათხოვებაზე, მას სიკვდილს შემდეგ უღმენ შესანიშნავ ძეგლს. სწავლა-განათლებას ჩინეთში დიდი ადგილი უჭირავს, უფრო სამხრეთ-ჩინეთში, აქ თითქმის წერა-კითხვა ყველამ იცის. თითოეულ სოფელში დაარსებულია სკოლა; მასწავლებელნი უფრო ცდილობენ, რომ მათმა შეგირდებმა კარგათ ისწავლონ თავის დაქერა საზოგადოებაში, ჰქონდეთ პატიოსური ქცევა და ზრდილობა.

ჩინეთში გავრცელებულია თავის-მკვლელობა. სხვა ქვეყნებში მაგალითათ კაცს თუ შეურაცხყოფა მიაყენე — მოგკლავს ან როგორმე დაგჯის, ჩინელი კი თავის-თავს იკლავს. ჩინელმა რომ ვინმე მოჰკლას, მას მაშინვე ივიწყებენ მშობლები, ნათესავები, ართმევენ თუ რამ გააჩნია და აგდებენ შინიდან, როცა გაჭირვებული ჩინელი თავს იკლავს,

მაშინ მისი გამჭარვებელი ეძლევა პასუხის-გებაში. ში. მკვდრის ოჯახს ეძლევა დიდი შემწეობა იმისაგან ვინც იყო მიზეზი სიკვდილისა. ხშირათ ასეც ხდება, ღარიბი ჩინელი, რომელსაც არ გააჩნია ლუქმა-პური, შიდის მდიდრის ოჯახში და იქ იკლავს თავს, საიდანაც შემდეგ მკვდრის ოჯახს ეძლევა დიდი საჩუქარი და შემწეობა.

როგორც ზევით ვთქვით, ჩინეთი გაყოფილია 18 პროვინციათ, თითოეული პროვინცია იყოფა ოლქებათ, ოლქები მაზრებათ. თითოეულ განყოფილებას განაგებს ცალკე მანდარინი. (მანდარინი პორტუგალიელი სიტყვაა და ნიშნავს ბრძანებას. mandarin — ბრძანება).

მანდარინებს ჯამაგირი ძლიერ ცოტა ეძლევათ. რადგანაც ჯამაგირი მათ არ ჰყოფნით, ამისათვის ისინი ჩუმათ უმატებენ ხალხს გარდასახადს, ასე რომ სახელმწიფო გადასახადის ნახევარზე მეტი მათ ჯიბეში ჩადის. აქ გასაკვირველი მაგალითი: ერთმა მანდარინმა თავის უფროსობის დროს ჩაჯიბა 80,000,000 მანეთი. რასაკვირველია ასეთ მოქმედებას ხშირათ მოსდევს აჯანყება, რაც კიდევ უფრო დიდ განსაცდელში აგდებს ხალხს. დამნაშავეთ ჩინეთში სასტიკათ სჯიან. ყველაზე სასტიკია ხის ხერხით განერხა კაცისა და უძილობით დასჯა. ეს უკანასკნელი იმაში მდგომარეობს, რომ დამნაშავეს აჯდენენ ხის ყუთში, რომელშიაც კაცს არ შეუძლია არც დაჯდომა და არც ფეხზე დგომა. ისე უნდა იყოს მოკუნტული. თუმცა საქმელს აძლევენ დამნაშავეს, მაგრამ უწყლოთ. ძლიერ ჯანმთელი კაცი უნდა იყოს, რომ ასეთი წვალება აიტანოს. საზოგადოთ კვდებიან მე-8—9 დღეზე ჭკუიდან შემლილები. ასეთი სასჯელით უფრო იმათ სჯიან ვინც აჯანყებას ახდენს მანდარინების წინააღმდეგ. იმ მანდარინს, რომელიც დაიმსახურებს ხალხის ყურადღებას თავისი პატიოსანი სამსახურით, დიდ პატივსა სცემენ და როცა ის თავს ანებებს სამსახურს და მიდის, თხოვენ ჩექმებსა და ჰკიდებენ ქალაქის კარებზე სასლოვრათ.

ჩინელები სარწმუნოებით განირჩევიან ერთი-მეორისაგან. მთელ სამეფოში ათას-გვარი სარწმუნოება არსებობს. ერთმა ნასწავლმა ჩინელმა აღწერა ყველა სარწმუნოება და ბოლოს ის დასკვნა გამოიყვანა, რომ არც ერთი მათგანი არ არის კარგი და სჯობს კაცმა არც ერთი არ აღიაროსო. საზოგადო ღმერთი რომელსაც დიდ მნიშვნელობას აწერენ ჩინელები არის დრაკონი. ის ითვლება ყოველივე უბედურებისაგან დამხსნელათ, მფარველათ ჯარისა და ომიანობის, მაგრამ ჩანს რომ დრაკონი ბევრ რამეზე არ ფიქრობს და მით უმეტესათ მათ ჯარზე; რადგანაც არც ერთ სამეფოში არ არიან ისე გაწვალებული სალდათები, როგორც ჩინეთში. აი მაგალითათ რას ამბობს ერთი ევროპიელი მო-



გზაური ჩინეთის ჯარის შესახებ: „მოედანზე იკრიბებოდა ჯარი უფროსის შესახვედრათ; მათ ეხურათ წვეტიანი ჩაღის ქუდები, აბრეშუმის წითელი კუდით, ჩვეულებრივ ტანსამოსს; ზევით ეცვათ კაბა წითელი არშიით, გულზე აკრული ჰქონდათ თეთრი ფარი ზედ წარწერით: „nung“ ე. ი. მეომარი. იარაღი ჰქონდათ სხვა-და-სხვა გვარი. ერთს ჰქონდა თოფი, მეორეს შვილდ-ისარი, ხმალი, ხერხი, სამთითი, რკინის ზარბაზნები, რომელიც მიჰქონდათ ორ სალდათს. ამას გარდა თითოეულ მათგანს ჰქონდა ჩიბუხი, თამბაქოს საწვეათ და საგრილებელი მარაო, ბევრს ქოლგებიც მოუჩნდა ილღის ქვეშ.“

სახოგადლოთ, ჩინეთის ჯარი მიწის მუშაენი არიან, მათ არც კი ახსოვთ თუ სამხედრო სამსახურს ეკუთვნიან.

მშვიდობიანობის დასაცველათ და აგრეთვე უეცრათ მტრის თავზე დასხმის ასამორებლათ ჩინეთში არის შემდეგი საშუალება.

ერთი მეორისაგან 70 ვერსტის მანძილზე ჩინეთში აშენებულია სამხედრო სადგურები, დამშვენებული ათას ნაირათ სხვა-და-სხვა ღმერთის სურათებით. თითოეულ სადგურებთან აშენებულია მაღალი კოშკები. როცა რამ ამბავი ხდება კოშკებზე ანთებენ ცეცხლს და ამის შემწეობით მთელ ჩინეთში გაიგება ამბავი.

მეფესაც ამ საშუალებით შეუძლია მოკლე დროში შეკრიბოს ჯარი, გაფანტული სხვა-და-სხვა კუთხეში:

მთელი ჩინეთის ჯარი განიყოფება სამ ნაწილათ: 1) ლუ-ინი ანუ ჯარი მწვანე დროშისა რიცხვით 475,000 კაცი—ასრულებენ პოლიციის სამსახურს. 2) მინდერის ჯარი, შეიარაღებული ახალი სისტემის თოფებით და ევროპიულათ ნაწილად გაწრთენილი; ესენი იღებენ სხვებთან შედარებით მომეტებულ ჯამაგირს, რიცხვით 210,000 კაცამდე და 3) დაქირავებული ჯარი, რომელშიაც თავს იყრის საუკეთესო ჩინეთის ახალგაზდა კაცები. ამათი ჯამაგირი ძალიან დიდია, როგორც დაქირავებულების—რიცხვით ესენი 98,000 კაცია. ნაკლებევენება ჩინეთის ჯარისა იმაში მდგომარეობს, რომ აფიცრებათ სრულიად უცოდინარ და უსწავლელ ხალხს ღებულობენ. გაქირავების დროს ჩინეთს შეუძლია ომში გამოიყვანოს ორჯელ მეტი ჯარი, მაგრამ საუბედუროთ ჯარის სიმრავლე ჩინეთს ვერას ვეგლის. ამ ვეგებრთელა ჯარის პატრონი იმპერია დღეს შემკრთალია იმ მცირე ჯარის წინაშეც, რომელიც ევროპას ჩინეთში ჰყავს.

პოლპორუჩიკი ავქსენტი აბესაძე.

შ ი ნ ი შ ვ ნ ა

წგენსა და რუსულ ჰრესაში არა ერთხელ თქმულა იმ მანქანაზე, რომელიც გამოიგონა ქუთაისის მცხოვრებმა ივანე სტეფანეს ძე მამაჯანოვმა. მოიწონა ეს მანქანა როგორც ქუთაისის სამეურნეო განუფილებამ, აგრეთვე სამინისტროს მიერ დანიშნულმა ექსპერტებმა. თვით ფინანსთა სამინისტრომ იცნა იგი ჰრივილეგიის დიქსათ, ქუთაისის სამეურნეო გამოფენამ კი მიუსაჯა მას ვერცხლის დიდი მედალი.

მე თვით არ მამეტა შემთხვევა მენახა ეს მანქანა მუშაობის დროს, ექსპერტიზამ კი გამოიკვლია, რომ ამ მანქანასათი საათის მუშაობით გამოჰყავს 400 ფუთი ხარბალი და 800 ფუთი საუკეთესო ბზე.

როგორც ახლა თვით ბ. მამაჯანოვისაგან გავიგე, იგი აკეთებინებს მამაჯანოვს წლისთვის თფილისის ერთ ქარხანაში მხოლოდ რამდენიმე ცაღს თავის მანქანისას.

რადგან ეს მანქანა მიგვანია ფრად სამნიშენდლოთ, მეტადრე ქართლ-კახეთის შემამულებათთვის, ამიტომ არ იქნებოდა ურიგო, რომ ჩვენი შემამულებანი დროით მიმართავდენ ქუთაისში ბ. მამაჯანოვს და შეუკვეთდენ მას ზემორე თქმულ მანქანას, რომ კვლავც ისე არ დაემართათ, როგორც ამ ზაფხულს: მოითხოვეს მანქანა და ვერ იშოვეს საუიდელოთ, რადგან დროით არავის შეუკვეთინია.

ს. ქ.

უგულობა

II

(დასასრული\*)



გარეგანი შეხედულობით ფატის ცხოვრება ისევ ის იყო, ნამდვილათ კი... ნამდვილათ... ახლა ფატი თითქმის ვეღარც ამჩნევდა მთელი თავისი ცხოვრების უფერულებას; ან კი იყო ის ისევ უფერული? არა, არა, ის ააფერადა, ის გაანათა, გააბრწყინა იმ სევდიანმა, გულის და სულის წარმტაცმა მუსიკამ, რომელიც მას აქეთ ყოველ საღამოს ისმოდა; სახლში იყო ფატი, გაკვეთილებზე თუ ქუჩაში, ყოველგან და ყოველთვის საღამოს მოლოდინში იყო, იმ საღამოს, როდესაც ხელ ახლა აკვნესდებოდა და

\*) იხ. „კვალი“ № 49.

ქართული ჟურნალი

აქვითინდებოდა დამწყვედელი მოუსვენარი სული; ფატი თავის ლოგინზე იწვა ხოლმე, მაშინ მას ავიწყდებოდა ყველა და ყველაფერი, ის მხოლოთისმენდანაღვლიან, სევდით სავსე ხმებს და გულში რაღაც გამოუთქმელ ბედნიერებასთან შეზავებული უზომო, რაღაც ტკბილი მწუხარება უმეფდებოდა ხოლმე; ის გრძნობდა, რომ ის მოუსვენარი სული მისი სული იყო, მისი სული, რომელიც ისწრაფოდა ამ ბნელეთი, ამ უბედურებისაგან საღდაც შორს, შორს, იქითკენ, საღდაც სინათლე, ბედნიერება, მხიარულება და თავისუფლება... და როდესაც გაისმოდა უკანასკნელი, მწარე ტანჯვით სავსე გამოთხოვების ამოკვნესა, ამ ამოკვნესას თანაგრძნობით ბანს აძლევდა აქედან ფატის გული, ისიც მწარე ტანჯვით და მწუხარებით სავსე..

— ფატი, რატომ დაიწყე ასე ადრე დაძინება, რატომ ჩვენთან არ ატარებ ხოლმე საღამოებს? — ჰკითხავდა ხოლმე დედა.

დედასთან და ძმებთან ერთათ ჯდომა, მათთან იმაზე საუბარი, თუ საიდან იზოვნონ ფული, რომ მეცასზე ან მეპურე გაისტუმრონ — და პატარა კარ-ჩაკეტილ ოთახში, გაღებულ ფანჯარასთან ლოგინზე წამოწოლა და იმ მუსიკით დატკობა... არა, არა, არა! და ფატი არც კი ამხელდა, რა იზიდავდა მას თავის პატარა ოთახში; როგორც ძვირფას რამ განძს, ისე უფრთხილდებოდა თავის საიდუმლოს და ცდილობდა, ფიქრშიაც არავის მოსვლოდა რამეზე ეჭვი... არა, ის მუსიკა მისი, მარტო მისი იყო! მის მეტს არავის არაოდეს არაფერი არ უნდა ცოდნოდა! და გამოუთქმელი ნეტარებით მოელოდა ფატი დაღამებას, იმ ძვირფას წამს, როდესაც მხარტეძოზე წამოწოლილს მას გაზაფხულის ნაზი სიო მწუხარებით და სევდით სავსე, როიალის ნაღვლიან, მკვნესარე ხმას მოუტანდა...

გავიდა ორ თვე ნახევარი. მთელ ამ დროს განმავლომაში ფატი თითქო სიზმარში იყო, სიზმარში ღებოდა, სიზმარში მიდიოდა გაკვეთილებზე, სიზმარში ატარებდა მთელ დღეს და ცოცხლობდა მხოლოდ მაშინ, როდესაც საღამოობით გულის და სულის წარმტაცი ხმა გამოაღვიძებდა და გამოაფხიზლებდა ხოლმე...

— ჩვენ პირდაპირ, დიდ სახლში რომ გაზაფხულზე მდგმურები გადმოვიდნენ, მგონია დღეს ისევე გადასვლას აპირებენ! — თქვა ერთხელ ელისაბედი. ფატიმ ყურადღება არ მიაქცია ამ სიტყვებს, მაგრამ როდესაც ნასადილევეს გაკვეთილზე წასასვლელათ გამოვიდა ქუჩაში და დაინახა როიალი, რომელიც ექვს მუშას მიჰქონდა, თვალეში დაუბნელდა... ვინ იცის, იქნება ეს ის როიალია, რომელმაც იმდენი ტკბილი, ბედნიერი წუთები გამოაცდევინა, იქნება ამ როიალშია დამწყვედელი ის მოუსვენარი

სული, რომელიც ისე გულ-საკლავათ ქვირინებს და საღდაც შორს, შორს ისწრაფვის ხოლმე... მხოლოდ ახლა იფიქრა ფატიმ, რომ მას ერთხელაც არ უცდია გაეგო, ვისგან და საიდან მოდიოდა ის სევდით სავსე, ნაღვლიანი მუსიკა... რათ უნდოდა გაგება? ის კმაყოფილი იყო, რომ მუსიკა ყოველ საღამოს ისმოდა, სხვა მას არა უნდოდა რა...

გულის ფანტაზიით მოელოდა ამ დღეს ფატი დაღამებას და ჯერ ცხრა საათი არც კი შესრულებულიყო, რომ მან თავისი ოთახის კარები ჩაიკეტა და გაღებულ ფანჯარასთან ლოგინზე წამოწოვა... გაიარა ნახევარმა საათმა, ერთმა საათმა, გაიარა კიდევ რამდენიმე საათმა... მუსიკა არსაიდან ისმოდა, ისეც მიყრუებული მათი მხარე დღეს რაღაც სამარისებური სიჩუმით იყო მოცული. სად არის, სად სევდიანი, მწუხარებით სავსე ხმები? ვინ იცის, სად კენესის ახლა ბნელეთში დამწყვედელი საბრალო, მოუსვენარი სული?..

გაქვავებულსავით იჯდა ფატი ლოგინზე და ფართეთ გახელილი თვალეებით ცაზე მბჟუტავურიცხვ ვარსკვლავებს მიჩერებოდა; დრო გადიოდა; ვარსკვლავები ნელ-ნელა მიჰქრენ, ცა ისე შავათ აღარ ჩნდა, ნელ-ნელა რაღაც მონაცრისფრო ფერი მიიღო; ეს ნაცრის ფერი სულ უფრო და უფრო თეთრდებოდა, ნათლდებოდა... ეტყობოდა, გათენებაც შორს აღარ იყო; ფატი ვერაფერს ხედავდა, მას აღარაფერი ესმოდა: ის გრძნობდა მხოლოდ, რომ რაღაც საყვარელი, რაღაც ძვირფასი, დაუფასებელი სამუდამოთ მოწყდა მის გულს და აწი, მომავალში, მას აღარაფერი აღარ მოეღის...

— შეილო, გაკვეთილზე დაგავიანდებ, რა ძილ-ქუში დაგაწვა! — მოესმა ფატის დილას დედის ხმა.

ფატიმ სწრაფათ აწია ზევით თავი; გაღებულ ფანჯარასთან დაძინებოდა; ფანჯარაზე დაყრდნობილი ხელები მთლათ ერთიანათ დაჰბრუშებოდა, თავი საშინლათ ტკიოდა; მთელ სხეულში რაღაც სისუსტეს, რაღაც მოწყვეტილობას და თითქო სიფუტუროვეს გრძნობდა. თითქო სიზმარშიო, ისე წამოღგა, გაისწორა კაბა, ხელ-პირი დაიბანა და ჩაის დასალევათ გამოვიდა.

— შეილო, რა დაგემართა? — მივარდა დედა, დაინახა თუ არა მისი ჩალ-ურჯებული თვალეები, მისი გაყვითლებული სახე. — ავათ ხომ არა ხარ?

— არა; ოღონდ წუხელი გვიან დამეძინა! — მიუგო ფატიმ, საჩქაროთ გადაჰყლაპა ჩაი, დაიხურა შლიაპა და ქუჩაში გამოვიდა. მიდიოდა, თითონაც არ აძლევდა თავის თავს ანგარიშს, სად და რატომ; ახსოვდა, რომ საღდაც გაკვეთილზე უნდა წასულიყო, მაგრამ ვისთან და საით, აღარ ახსოვდა; მხოლოდ ხილზე რომ შედგა და ქვეიდან აღეღვე-



ბული წყლის შხუილი მოესმა, გამოერკვა, შეჩერდა, მოაჯირს დაეყრდნო და დაფიქრდა; ფიქრობდა თავის ცხოვრებაზე, თავის წარსულზე, თავის მომავალზე; წარსულში—ერთი მეორისაგან გაურჩეველი, სულ ერთნაირი, ერთ ფეროვანი, უფერული დღეები, სულ მუშაობით და სულ უკმაყოფილობით, სულ ტანჯვით სავსე. . . მომავალში? მომავალშიც იგივე, იქაც მისთანავე უფერული, უკმაყოფილებით და ტანჯვით სავსე დღეები, ბოლომდის სულ ასე... მერე კი?.. მერე სიბერე და სიკვდილი... მხოლოდ ერთხელ განათდა ეს უფერული ცხოვრება, მხოლოდ ერთხელ გააბრწყინა ის გარედან შემოპარულმა სხივ-მფინარე შუქმა... და ისიც წავიდა, გაჰქრა .. წავიდა!.. რაღა დარჩა? კიდევ და კიდევ ითვალისწინებს ფატი თავის უფერულ, უბედურ, მიუზიდავ ცხოვრებას... ითვალისწინებს და მწვავე თავისი თავის, თავისა ასე უსხივოთ ჩავლილი ახალგაზდობის სიბრალული სულ უფრო და უფრო იზრდება მის გულში და სულ უფრო და უფრო დაკვირვებით, უფრო და უფრო გაშტერებით დაჩერებია ის წყალს, რომელიც თითქო იბატივებს, თითქო თავისკენ იწვევს და იზიდავს...

— ერთი წამი... ბევრი, ბევრიხუთი წამი, და გათავდა! ყველაფერი გათავდა! ბოლო მოეღება სამუდამოთ ყოველივე ტანჯვას, ყოველივე უკმაყოფილებას... მისდა უნებურათ უტრიალებს ფატის გულში.— ერთი, მხოლოდ ერთი მოკლე, სულ მოკლე წამი... და ფატი სულ უფრო და უფრო აწვება მოაჯირს...

მარტო ერთმა ხიდის ყურში მდგომმა მებუდკემ შენიშნა, რომ ხიდიდან ვიღაც ადამიანი წყალში გადავარდა; წყალმა მაშინვე ჩაითრია თავისი მსხვერპლი და ისევ ისე შხუილით და მუქარით განავრძო თავისი გზა.

III

მხოლოდ სამ დღეს იქით იპოვნეს ფატი და ჩააბარეს მის საბრალო, თმა გაწეწილ და მწუხარებისაგან ლოყებ დასისხლიანებულ დედას: საცოდავი სანახავები იყვენ ბესო და გიგუცი, რომლებმაც პირველათ ნახეს ასე ახლო სიკვდილი და რომლებიც გულ-საკლავათ დაჰტიროდენ კუბოში ჩასვენებულ, თეთრ ლეჩაქ გადაფარებულ ფატის... შვენიერი იყო ფატი კუბოში; სიკვდილს უხვათ დაეჯილდოვებინა ის სილამაზით, რომელიც სიცოცხლემ დააკლო; მწვანე ბალახებით გადახლართული გაშლილი გძელი თმა ლამაზათ ეხვეოდა გარს მის ფერ-მკრთალ, ნაზ სახეს; დახუჭული თვალების გრძელი წამწამები ნაზათ ჩრდილავდენ მის გამხდარ ლოყებს; მაღალ სპეტაკ შუბლზე სიკვდილს უკვე დაედვა საუკუნო მშვიდობაანობის ბეჭედი, მაშინ როდესაც თხელ, ლამაზ ტუჩებს თითქო რაღაც ნაღვლიანი, მწარე ტანჯვით სავსე

ლიმილი ეპარებოდა... „რატომ, რისთვის, რისთვის ღმერთოო?“ თითქო ახლაც იმეორებდენ ეს ტუჩები იმ კითხვას, რომელსაც ისე ხშირათ იმეორებდენ სიცოცხლეში... სიცოცხლემ ვერ მისცა პასუხი ამ კითხვაზე, ეტყობა, სიკვდილმაც ასევე უპასუხოთ დატოვა...

— რათ დამლუბა, რას მერჩოდა, სიყვარულის მეტი რა დავუშავე, ასე უგულოთ როგორ მომექცა, ვენაცვალე ჩემ ფატის, იმას შემოველო მისი უბედური დედაო!— დაჰტიროდა ელისაბედი თავის ქალს და მას ქვითინით ბანს აძლევდენ კუთხეში მიმალული ბესო და გიგუცი.

— მართლა! რა უგულოთ მოექცა თავის საცოდავ დედას!—ათასჯერ და ათი-ათასჯერ იმეორებდენ ხანში შესული ქალები, რომლებიც ეს მეორე დღეა, რაც ელისაბედის სახლში დატრიალობდენ; ფატის სიკვდილის დღეს ბევრი ნაცნობები და კეთილის-მყოფლები გამოუჩნდა ელისაბედს; ყველა ცდილობდა, რაც შეიძლებოდა მასთან ახლო ყოფილიყო და რამე რჩევა მიეცა მწუხარებისაგან გამოშტერებულ დედისათვის.

— ელისაბედ, აქ არ დაგამარხებენ, შენი ქმრის სოფელში წაიღე!— ერთ-ნმათ ურჩევდენ ისინი ელისაბედს და მის ზურგს უკან ერთ ხმათვე იმეორებდენ:

— მართლა უგულო კი ყოფილა, ასე უმიზეზოთ რომ მოიკლა თავიო...

უმიზეზოთ... უმიზეზოთ...

1898 წ. 7 ოქტომბერი.

ელ. წერეთელი.

რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

# თფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამ 1900 წლის პირველ დეკემბრიდან ქალაქის სადესინფექციო სადგურზე შემოდებულია ახალი ნისრნი, რომელიც დაშტეციებულია შინაგან საქმეთა მინისტრისაგან, ფანანსის სამინისტროს თანხმობით. სადესინფექციო სადგური კოსრულობს დესინფექციას, როგორათაც სახლებისას, აგრეთვე ყოველ გვარ ნივთებისას. ამასთანავე, სადაც გადაძებ სენით ავითყოფები არიან სადესინფექციო სადგური კისრულობს იმათი სახლების დესინფექციას უსასყიდლოთ. (3—2)

ქართული თეატრი  
ხუთშაბათს, 14 დეკემბერს 1900 წ.  
გენეზისი

ბ. ვლ. ალექსი-მესხიშვილის და ქ. ნ. ჩხეიძის  
მონაწილეობით

ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ  
წარმოდგენილი იქნება

I

პირველათ ახალი პიესა

# ბრძეპალები

დრამა 3 მოქ. პოლ-ერვიესი თარგ. ივ. მაჭავარიანისა.

II.

ახალი პიესა

# დავით რაბინი

კომედია 3 მოქ. ე. შატრიანისა, თარგ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დასაწყისი 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი **მ. გუნიასი**.

მზადდება კ. შათირიშვილის საბენეფისით

„მატიასებსა“.

საყმაწვილო ნახატებიანი ყურნალი

# „ქ ე ჯ ი ლ ი“

წელიწადი მეთორმეტი

გამოვა 1901 წელსაც თვეში ერთხელ იმსვე პროგ-  
რამით, როგორც აქამდის.

ყურნალი „ქეჯილი“ მიღებულია თფილისის საე-  
ზარქო და კავკასიის ოქცის სამოსწავლო ჩვეულებისგან  
სასწავლებლის სამკითხველებში საკითხავათ.

ყურნალი „ქეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს  
4 მან. თფილისს გარეშე გავზავნით 5 მან. ცალკე ნო-  
მერი 50 კაპ.

ხელის მწერს შეიძლება მხალთა წლით და ნახე-  
ვან წლით.

ხელის მწერს მიიღება:

1) თფილისში—„წერა-კითხვის გამ. საზოგადოე-  
ბის“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Г'руз. Двор.,  
№ 101), და თფილ „ქეჯილი“-ს რედაქციაში (Арти-  
ллер. ул. № 5, возле Кадетского корпуса)

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію  
грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

გამოვიდა და იხილება

ახალი წიგნი

# „ქართული პრესა“

წერილები ნოე ჟორდანიასი

გამ. ამხან. „ზრომის“. ფასი 25 კაპ.

## ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1901 Г.

на издающуюся въ Тифлисъ политическую и ли-  
тературную ежедневную газету

# „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“.

(XVIII годъ изданія).

Газета будетъ выходить въ 1901 году подь  
прежней редакціей и по прежней программѣ.

Съ цѣлью удовлетворить все болѣе развиваю-  
щуюся потребность въ чтеніи, **ФОРМАТЪ** газеты съ  
конца нынѣшняго года будетъ **УВЕЛИЧЕНЪ**.

### УСЛОВІЯ ПОДПИСКИ

съ доставкой и пересылкой:

На 12 мѣсяцевъ . . . . .	10 р. — к.
„ 6 „ . . . . .	6 р. — к.
„ 5 „ . . . . .	5 р. 25 к.
„ 4 „ . . . . .	4 р. 75 к.
„ 3 „ . . . . .	3 р. 50 к.
„ 2 „ . . . . .	2 р. 75 к.
„ 1 „ . . . . .	1 р. 50 к.

За границу: на годъ—17 р., на полгода—9 р.,  
на 3 мѣсяца—5 р.

Для годовыхъ подписчиковъ, какъ городскихъ,  
такъ и иногородныхъ, обращающихся непосредствен-  
но въ контору редакціи, **ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА** на  
слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится—3 р.,  
къ 1-му марта—2 р. къ 1-му мая—3 р. и къ 1-му  
сентября—2 р. Для сельскихъ учителей льгота: под-  
писная цѣна на годъ—7 р., на полгода—4 р.

*Лица, подписывающіяся на будущій годъ, полу-  
чаютъ газету въ нынѣшнемъ году бесплатно.*

Подписка принимается не иначе, какъ считая  
съ 1-го числа каждаго мѣсяца. Подписка приимает-  
ся въ Тифлисъ, въ конторѣ газеты, Барятинская ул.,  
д. № 8.

Книги, издаваемыя редакціею, будутъ прода-  
ваться подписчикамъ „Ноч. об.“ съ уступкою 50%.

(3—1)